საერთო გაზეთი

№40 (498) • 7 ნოემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„მე ვიღებ პასუხისმგებლობას, ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი“

ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

სალომე ზურაბიშვილის არჩევნებში გამარჯვების ათი ფაქტორი

2 დეკემბერი „ნაცმოძრაობის“ საბოლოო დამარცხების დღეა“!

არა ნაცჯალათებს!
არა სადისტებს!
არა კაცისმკვლელებს!

2 დეკემბერს, „ნაცმოძრაობა“ რუსული „პაშოჩინის“ სამაგიეროდ, ქართველი ხალხისგან ისეთ ქართულ ხალხურ ალიყურს მიიღებს, თავბრუდასხმული და დარეტიანებული, დიდხანს ვერ მოვა გონს!!!

ქვეყანა, სადაც ღალატი ცხოვრების წესად იქცა

ქართველებო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ახლა ცოცხები ერთ ადგილას გვაქვს მობჯენილი და მეორე ტურში გაირკვევა, ეს ცოცხები უკან წავა თუ წინ წამოვა...

„მე ვიღებ პასუხისმგებლობას, ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი“

ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეებს მიმართავს:

„მინდა მივმართო ჩემს ხალხს! მინდა მივმართო იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც მაკისრია თქვენს წინაშე!

პირველ რიგში, მადლობა მათ, ვინც კიდევ ერთხელ გამოგვიცხადეთ ნდობა, მადლობა იმ ადამიანებს, ვისაც ბევრი პრობლემის მიუხედავად, სჯერა ჩვენი არჩეული გზის! მაგრამ დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მივმართო მათ, ვინც გულგატეხილია!

მინდა გითხრათ, რომ მე კარგად მესმის თქვენი! მესმის თქვენი გულისტკივილის და იმედგაცრუების; მესმის, რომ უკმაყოფილონი ხართ, რადგან მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა თქვენი ყოფა; მესმის, რომ უკმაყოფილონი ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მოხელე, ხალხზე ზრუნვაზე მეტად, პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს; უკმაყოფილონი ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა;

ბევრი თქვენგანი გაბრაზებულია, რადგან დასაშვები გავხადეთ მოძალადე რეჟიმის დაბრუნების საფრთხე. დღეს არ ვაპირებ ვისაუბრო არც იმ 9-წლიან რეჟიმზე, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ყველა უფლება, ყველა ღირსება, და ეს ბევრმა თქვენგანმა საკუთარ თავსა და ოჯახზე იწვნია.

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამშობლო ისევ ისტორიულ გზაგასაყართან დგას — არსებობს მცდარი გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკი, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ახალი შესაძლებლობების, განახლების საუკეთესო მომენტი.

რამდენიმე თვის წინ მომიწია პოლიტიკაში დაბრუნება. მომიწია, რადგან ვხედავდი, რომ პრობლემები ღრმავდებოდა და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი არ არსებობდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ხალხი კიდევ უფრო ღრმად და ნათლად ხედავდა ამ პრობლემებს.

თუმცა, ერთი რამ ყველას უნდა გვახსოვდეს! **ჩვენი მოწინააღმდეგე არ არის პოლიტიკური პარტია. დღეს ჩვენ წინ, ჩვენ პირისპირ, სამწუხაროდ, ისევ რევანშისთვის გაერთიანებული მოძალადეები დგანან.** ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე და ეს განსაცდელი ჩვენ დავუშვით. როცა ხელისუფლება შორდება ხალხს, ის კარგავს ხალხის ნდობას და ახლა მინდა ვთქვა ყველას გასაგონად:

ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღირებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივაღწიოთ უზენაეს მიზანს — ხალხის უკეთეს მომავალს. ამიტომაც, თუ „ქართული ოცნება“ ვერ მუშაობს, თუ მისმა რომელიმე შტომ ხალხის მსახურებაში არ ივარგა, მე პირველი წავალ მათ წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება მივცეთ საშუალება ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ამ შეცდომებს სწორი დანახვა და კრიტიკა უნდა. ოპონენტები კი სრული სიმძლავრით ჩართული სიცრუის მანქანით ცდილობენ ყველაფრის გადახაზვას. მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!

ოპონენტები მხოლოდ ტყუილზე დაფუძნებულ კამპანიას ატარებენ. ხალხს ურცხვად პირდებიან იმას, რაც საპარლამენტო წყობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილებას სრულად ცდება და, ამავე დროს, ღიად გვიანონსებენ ადამიანის წამებასა და ჩაგვრაში ბრალდებულების გათავისუფლებას, რაც საზოგადოების შეურაცხყოფის გარდა, პირდაპირ დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია.

2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი. გავიარეთ ურთულესი პერიოდი და თან ვცდილობდით, ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაგვეყვანა. ამ გზაზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ:

სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლდა ბიზნესი, თავისუფალია მედია, განხორციელდა არა ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა; ურთულეს ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვეთ რეგიონული ლიდერობა და მრავალი სხვა.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები სულ უფრო რეალურ პერსპექტივაში განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრირებას.

უამრავი რისკის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი სტაბილური განვითარების წლები.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრძნობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონრებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღირსების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში!

ჩემო მეგობრებო, ქვეყნის ცხოვრებაში დგება ხოლმე გარდამტეხი მომენტები, როდესაც ხალხი ხდება ეპოქალური ცვლილებების ავტორი და ჩვენ ერს ასეთი სიბრძნე არა ერთხელ გამოუჩენია.

მინდა მივმართო „ქართული ოცნების“ ძველ გვარდიას, მათ, ვინც შეუძლებელი შეძლეს 2012 წლის იმ ისტორიულ დღეებში: საქართველოს კიდევ ერთხელ დაჭირდა თქვენი ერთგულება და გამოცდილება, თქვენი სამოქალაქო გმირობა. მე ვიცი თქვენი გულისტკივილი, მე ვიცი თქვენი გაბრაზების ყველა მიზეზი. გაძლევთ პირობას, რომ ყველა პატრიოტი იპოვის საკუთარ ადგილს თავისი დამსახურების მიხედვით ჩვენს ერთიან ოჯახში, არავის ღვაწლი არ დარჩება უყურადღებოდ!

მინდა შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდეც განვაცხადე — მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს.

ახლა მთავარია, ხელისუფლებასა და ცალკეულ ჩინოვნიკებზე გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მომავალი და საკუთარი ქვეყანა არ დავსაჯოთ და არ გადავყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც 2012-ში სიცოცხლე ჩავდე თ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად და ერთად შევძლებთ ადამიანზე ორიენტირებული, თანამედროვე საქართველოს შენებას", — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

5 ნოემბერი, 2018 წ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

2 დეკემბერი „ნაცმოძრაობის“ საბოლოო დამარცხების დღეა“!

„ნაცმოძრაობა“ რუსული „პაშოჩინის“ სამაგიეროდ, ქართველი ხალხისგან ისეთ ქართულ ხალხურ ალიყურს მიიღებს, თავბრუდასხმული და დარეტიანებული, დიდხანს ვერ მოვა გონს

არ მჯერა!!!

არ მჯერა, რომ გრიგოლ ვაშაძეს 6000 000-მდე ქართველმა მისცა ხმა.

გრიგოლ ვაშაძე ვინ არის — მიხეილ სააკაშვილის ფსევდონიმია, ანუ გამოდის, რომ 600 000-მა ადამიანმა სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას მისცა ხმა.

არ მჯერა ეს ამბავი, თუნდაც იმიტომ, რომ მე უფრო კარგი წარმოდგენისა ვარ ქართველებზე და საქართველოზე.

თუ ამ ქვეყანაში მართლაც ცხოვრობს 600 000 ისეთი ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს მკვლელების, სადისტების, ყაჩაღების, მანიაკების უკან მობრუნებას,

მაშინ ეს ქვეყანა უკვე დაღუპულა და დაქცეულა.

25 000 პატიმარი, 300 000 პრობაციონერი, 160 ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდა, 10 000 ოჯახი, რომელსაც ქონება წაართვეს — აი, „ნაცმოძრაობის“ „კეთილშობილურ საქმეთა“ არასრული ჩამონათვალი.

ეს 600 000 მოქალაქე მარსზე ხომ არ ცხოვრობდა, რომ არც მას, არც მის ახლობელს, მეზობელს, ნათესავს, მეგობარს, არავის გარშემო და მის სიახლოვეს, ახლოსაც არ გაკარებია ეს საყოველთაო უბედურება?

დავუშვათ, რომ ასე იყო, მაგრამ გაგებით მაინც არაფერი გაუგიათ იმის შესახებ, რაც მათ გარშემო ხდებოდა?

კარგი, ეს „წვრილმან-წვრილმანი“ და „უმნიშვნელო“ ამბები ყურადღების ღირსი არ იყო მათთვის, მაგრამ არც სამაჩაბლოს და კოდორის შესახებ სმენიათ რაიმე, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ რუსებს მიართვა ხონჩით, რასაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა მოჰყვა?

ამ 600 000 ადამიანიდან ყველა ისეთი ლენჩი და რეგვენი როგორ არის, რომ ვერავინ ხვდება: 2008 წლის აგვისტოს ომი ეს იყო „ნაცმოძრაობის“ და რუსების მიერ ერთობლივად დაგეგმილი პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ, რასაც უამრავი მსხვერპლი და ტერიტორიების 20%-ის დაკარგვა მოჰყვა.

„ნაცმოძრაობის“ მიერ გრიგოლ ვაშაძის, თხემით ტერფამდე რუსი პოლიტიკოსის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება 2008 წლის პროვოკაციის პირდაპირი გაგრძელებაა, მისი ფინალია, რასაც გარდაუვალად მოჰყვება ქართული სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრება ჯუჯა სახელმწიფოებად და მისი გადანაწილება, როგორც რუსეთზე, ასევე ჩვენს მეზობელ სხვა სახელმწიფოებზე.

„ნაციონალები“, იყენებენ რა მათი აკვნის დამრწევი კგბ-ს კაგებეშნიკურ მეთოდებს, სალომე ზურაბიშვილს აბრალებენ იმას, რაც თვითონ არიან და რის გაკეთებასაც თვითონ აპირებენ.

ისინი კი აბრალებენ, მაგრამ ჩვენ გონება არ გვაქვს, ჭკუა არ გვაქვს, განსჯის და აზროვნების უნარი არ გვაქვს, რომ დავფიქრდეთ და ადვილად გასაშიფრი ეს ელემენტარული მზაკვრობა გავშიფროთ?

ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა „ნაცმოძრაობის“ მიერ რუსეთის გარკვეულ წრეებთან არის შეთანხმებული და მათგან არის დასტურმიცემული.

„ნაცმოძრაობას“ ადვილად შეეძლო ვინმე ისეთი პიროვნება მოეძებნა, რომელიც რუსული პოლიტიკის ძუძუთი არ იქნებოდა გაზრდილ-გამოკვებილი და რომელსაც რუსული სახელმწიფოს ზესაიდუმლო სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი ტვირთითაც არ ექნებოდა მხრები დამძიმებული.

მაგრამ „ნაცმოძრაობა“ ასე არ მოიქცა და ყოველგვარი მორიდებისა და შეფარვის გარეშე პირდაპირ რუსული პროექტი წამოაყენა კანდიდატად, რომლის ერთგულებასა და სანდოობაში რუსეთს წამითაც არ ეპარება ეჭვი.

„ნაცმოძრაობის“ მიერ გაწნული რუსული „პაშოჩინა“ 600 000-მა ქართველმა დედის რძესავით შეირგო და თავზე დაყრილი ნაცარი არც ჩამოუფერთხავს, ისე გაეშურა საარჩევნო უბნებისკენ.

ქართველი ხალხისთვის უფრო დიდი უეურაცხყოფა, უკაცრავად და, უფრო დიდი პანლური, ვიდრე მისთვის გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტად შეთავაზებაა, არ არსებობს.

მსგავსი უტიფრობა, მსგავსი დაცინვა და აბუჩად აგდება მთელი მისი არსებობის მანძილზე არავის უკადრებია საქართველოსთვის.

ვერ ვიხსენებ უფრო ამაზრზენ და შეურაცხმყოფელ ფაქტს.

ჩვენ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოგვახალეს, რომ არავინ არ ვართ, ერი არ ვართ, აზროვნების უნარი არ გვაქვს, თავმოყვარეობის და ღირსების გრძნობა არ გვაქვს და აღმოჩნდა, რომ ეს ნაწილობრივ სიმართლეა — მთლად ყველა თუ არა, მოსახლეობის თითქმის 20% ასეთია თურმე.

მიშა სააკაშვილს ვაშაძე კი არა, ვთქვათ, ლავროვი ან იგორ ივანოვი, ან ალექსანდრ დუგინი, რომ შემოთავაზებინა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად, ეტყობა, რომელიმე მათგანს აუცილებლად მისცემდნენ ხმას მიშას ფანები თუ მონები.

თუმცა, ვისაც ხმა მისცეს, ის ჩამოთვლილ ამხანაგთაგან არავისზე ნაკლები რუსი არ არის და თავის მეორე სამშობლოს, რომელსაც მარად და ყოველთვის გულით დაატარებს, ბოლომდე უერთგულებს.

●

ციფრი — 600 000, რომელიც ერთი შეხედვით შთამბეჭდავად ჟღერს, თუმცა, სინამდვილეში, ის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (3 500 000) მხოლოდ 18%-ია, ამ 18%-იდან კი, დაახოებით 8%, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ნაცმოძრაობის“ მუდმივი და ერთგული ამომრჩეველი კი არ არის, არამედ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო „ნაცმოძრაობის“ ბანაკში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი.

ამ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, გამოდის, რომ ვაშაძემ და ბაქრაძემ ხმების თითქმის თანაბარი რაოდენობა (10–10 პროცენტი) მიიღეს.

ასე რომ, „ნაცმოძრაობის“ ომახიანი ყიჟინა ტრიუმფალური გამარჯვების შესახებ ისეთივე ბლეფია, როგორც თავად „ნაცმოძრაობა“.

„ნაცმოძრაობას“ მართლაც 600 000 ერთგული მხარდამჭერი და მისი იდეოლოგიის გამზიარებელი რომ ჰყავდეს, კარგა ხნის წინათ ვეყოლებოდით დაპყრობილი...

●

2 დეკემბერს „ნაცმოძრაობა“ გამარჯვებას ელოდება.

არადა, ღრმად ვარ დარწმუნებული, „ნაცმოძრაობა“, მის მიერ რუსი პოლიტიკოსის გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების მცდელობით ქართველი ხალხისთვის შემოლაწუნებული რუსული „პაშოჩინის“ ნაცვლად, ქართველი ხალხისგან ისეთ ქართულ ხალხურ ალიყურს მიიღებს, თავბრუდასხმული და დარეტიანებული, ალბათ, დიდხანს ვერ მოვა გონს.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ 2 დეკემბერს ვაშაძე გაცილებით ნაკლებ ხმებს მიიღებს, ვიდრე პირველ ტურში მიიღო.

„ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო „ნაცმოძრაობის“ დასრულება, მაგრამ 2 დეკემბერს მას ქართველი ხალხი საბოლოო განაჩენს გამოუტანს და მასთან ერთად განაჩენს გამოუტანს იმ პოლიტიკურ პარტიებსაც, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მხარეს დადგნენ.

ეს ის პარტიებია, რომლებსაც შეიძლება სააკაშვილის პოლიტიკურ უნიტაზში ჩარეცხილები ვუწოდოთ.

2 დეკემბერი ქართველი ხალხის გამარჯვების და მის ცხოვრებაში ახალი, ისტორიული ეტაპის დასაწყისის დღეა.

ვახტანგ ხარჩილავა

ქვეყანა, სადაც ღალატი ცხოვრების წესად იქცა

ქართველებო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ახლა ცოცხები ერთ ადგილას გვაქვს მობჯენილი და მეორე ტურში გაირკვევა, ეს ცოცხები უკან წავა თუ წინ წამოვა...

აი, ხალხო, ამხანაგმა ვაშაძემ საპრეზიდენტო არჩევნები წააგო, მაგრამ მაინც იძახის, გავიმარჯვეო. მე არ მიკვირს, ეს "ნაცხროვის" ხელწერაა - ალბათ გახსოვთ (ან კი რა დაგავიწყებთ?), 2008-ში რუსებთან ომი რომ წააგეს და მაინც ამტკიცებდნენ, დღემდე ამტკიცებენ, მოვიგეთო, მტერი თბილისში არ შემოვუშვით, ჩვენი შეეშინდათო. ასეთი განცხადებების კეთება მას შემდეგ დაიწყეს, წითელი ხიდიდან რომ მობრუნდნენ, ცოტა რომ მოიკეთეს, ჰალსტუხების ღეჭვას რომ შეეშვნენ და თავები ასწიეს.

ჰოდა, ახლაც იძახიან, მოვიგეთო. ამ დროს "ოცნების" "სასტავი" შეცბა, დაიბნა და ცოტა არ იყოს, წახდა. გამოხტნენ ე.წ. ლიდერები და დაიწყეს: ნწუ, ნწუ, ნწუ... ქართველმა ხალხმა მკაფიო გზავნილი გამოგვიგზავნა, სილა გაგვაწნა, ყვითელი ბარათი გვიჩვენაო. სიმართლე გითხრათ, არც უმაგისობაა, მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც არჩევნების გაყალბებაა "ნაცხროვის" მხრიდან. თითქოს დაუჯერებელია, ე.წ. ოპოზიციამ ხელისუფლებას როგორ უნდა გაუყალბოს არჩევნები, ჩვენში ხომ არჩევნებს ყოველთვის ხელისუფლება აყალბებდა? არა, ჩემო კარგებო, "ნაცხროვა" გახლავთ გაყალბების დიდოსტატი ჯერ კიდევ ედუარდ ამბროსოვიჩის ეპოქიდან მოყოლებული. ალბათ გახსოვთ (ან კი რა დაგავიწყებთ?), როგორ "ტექნოლოგიებს" ამუშავებდნენ მიხეილ მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი. ბუნებრივია, ამ ნაძირლების მიერ დამუშავებული "ტექნოლოგიები" უფრო გაუმჯობესდა ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და ტელეფონების განვითარების შემდეგ. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, "ნაცხროვის" ნაძირლობამ მიაღწია გაუგონარ აპოგეას.

მაშ ასე, დავიწყოთ იქიდან, რომ "ნაცმოძრაობამ" (და არა ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს) გაყალბება დაიწყო პირველივე დღეებიდან, როცა სალომე ზურაბიშვილს "მოღალატის" იარლიყი მიაწება. აგერ, გავიდა ცოტა დრო, გაიარა პირველმა ტურმა და ჩვენ ვხედავთ, როგორ გულაობენ "კაგებეშნიკ" ვაშაძის საარჩევნო შტაბში რუსები ვინმე "პიარშიკ" შკლიაროვის თამადობით. "ნაციონალების" სტრატეგია თავიდანვე გაშიფრული იყო, მაგრამ ვინაიდან ჩვენი მოსახლეობის ნაწილს ანალიზის უნარი დაკარგული აქვს, ამ მეთოდმა მაინც იმუშავა. რეგიონებში ასევე მაგრად იმუშავა 400-ლარიანი პენსიის დაპირებამ. კი, ბატონო, ჩვენ ვიცით, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, პრეზიდენტს პენსიის გაზრდა ნამდვილად არ ეხება, მაგრამ ისევ მივდივართ გონებრივ სისუსტესთან, ანუ ბევრმა ეს საკენკი აკენკა. საერთოდ, ჩვენს ამორტიზებულ საზოგადოებაში კარგად ჭრის ბინძური აგრესია და ეს კარგად გამოიყენეს ავანტიურისტებმა - ისინი არ ერიდებოდნენ და არც დღეს ერიდებიან მუქარას, შანტაჟს, ლანძღვა-გინებას. თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოების ნაწილს მოსწონს, როცა ვინმეს იჭერენ, აპატიმრებენ, აუპატიურებენ და აწამებენ. დიახ, მე თუ უმუშევარი ვარ, სხვამ რატომ უნდა იაროს სამსახურში, სხვამ რატომ უნდა აკეთოს ბიზნესი, რატომ უნდა იშოვოს ფული? აქ ავტომატურად ერთვება სტალინური აზროვნება - დაიჭირეთ, წაართვით, გააკულაკეთ, დააპატიმრეთ, აწამეთ!

ისე ნურავინ გაიგებს, თითქოს ხალხი 100 პროცენტით ტყუის და ეს ხელისუფლება მართალია, არა, მე ვსაუბრობ მხოლოდ საარჩევნო მასკარადზე, სადაც ე.წ. პოლიტიკოსები კადრულობენ ყველაფერს და რაღაც ეტაპზე მიზანსაც აღწევენ. ამ არჩევნებში (ვგულისხმობ პირველ ტურს) წააგო არა "ქართულმა ოცნებამ", არამედ კაი გვარიანად გააყალბა "ნაცმოძრაობამ" და დაგიდებთ მაგალითებსაც: პირველი - მათ იმუშავეს, დააშანტაჟეს და მოისყიდეს ყველა, ვისი დაშანტაჟება და მოსყიდვაც შეიძლებოდა. მოსახლეობაში არიგებდნენ იმაზე მეტ ფულს, ვიდრე "ოცნება". ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა "იქით შეედავე"-ს პრინციპმა, მიდიოდა კამპანია, თითქოს "ოცნების" წარმომადგენლები ხალხს ფულს სთავაზობდნენ. აქ "ოცნება" დაკომპლექსდა და გადავიდა თავის მართლების რეჟიმში. ბოლოს კი მივიღეთ რა? შიშის გამო მმართველი პარტიის წევრები ახლოს არ გაეკარნენ მოსახლეობას, ემანდ მოსყიდვასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში არ დაგვადანაშაულონო; მეორე - "ნაცმოძრაობამ" კარგად გამოიყენა "ოცნების" დაბნეულობა და მოსუფთავებული საარჩევნო მინდორი. მაგალითად, რეგიონებში, სადაც პენსიონერებს და ავადმყოფებს, ინვალიდებს საარჩევნო უბნებამდე მისვლა უჭირთ, არსებობს გადასატანი ყუთები, ანუ სახლში მიკითხების მეთოდი. "ნაცები" მასობრივად ითხოვდნენ ამ ყუთებს, მიჰქონდათ თითქოს გარკვეულ მისამართზე, მაგრამ სინამდვილეში მიჰქონდათ გაუკრვეველი მიმართულებით და შიგ რას ყრიდნენ, კაცმა არ იცის. უბედურების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ მიჰყვებოდნენ ცესკოს და "ქართული ოცნების" წარმომადგენლები, ანუ კომისიის წევრები. გამოდის, მგელს ბატკანს აბარებდნენ მოსავლელად; მესამე - "ნაცხროვამ" ასევე წარმატებით გამოიყენა ფსიქოლოგიური ტერორის მეთოდი არა მხოლოდ თბილისში, არამედ (უფრო მეტად) რეგიონებშიც, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი "რუსთავი 2"-ის მძევალია. ამ ტერორის ხელწერა ძველია, უკვე ნაცადი, თუ აქამდე არ მუშაობდა, ახლა იმუშავა: ჩვენ უკვე მოვედით, ხელისუფლებას გადავიფორმებთ და ამით დამთავრდება, ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ! ეს პროპაგანდა მიდიოდა თვეების განმავლობაში და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც დაფიქრდა - ვგონებ, ესენი მართლა მოდიანო. აქვე გაჩნდა მეორე ვერსიაც: ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლებას "ნაციონალებს" აბარებს, მათთან გარიგებულია! ამ ვერსიამ ხომ მთლად დააბნია ხალხი; მეოთხე - როგორც კი "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველოში ეგრევე გაჩნდა მოსყიდული მედია, რაც ბოლო დროს გადავიდა სრულ მარაზმში. გადართავ ტელევიზორს - "ნაცი" ლაპარაკობს, გადმორთავ - "ნაცი" გვიკითხავს მორალს, ისევ გადართავ - "ნაცი" გაჰკივის ბოლო ხმაზე, პატიოსნებასა და სიყვარულზე ქადაგებს... კი, ამ ყველაფერმა ხალხის ნაწილში კი გამოიწვია ზიზღი, მაგრამ ბევრი გაება დიდი ფულით დაგებულ მახეში. მედიის მოსყიდვა და "რუსთავი 2"-ის ფილიალებად გადაქცევა არის არჩევნების გაყალბების მთავარი საფუძველი - ადამიანებს გამოურეცხეს ტვინები და შავი მოაჩვენეს თეთრად. მეხუთე - "ნაცხროვამ" გამოიყენა რა "ოცნების" სისუსტე პიარის კუთხით, თითქმის ყველა მედიასაშუალება, მცირე გამონაკლისის გარდა, აქცია პროპაგანდისტულ მანქანად. სამწუხაროდ, ხელისუფლება ვერ გაერკვა, ან არ გაერკვა პიარისა და პროპაგანდის საფუძვლებში და სახელმწიფო სამსახურებში შეყარა თუ შეაყრევინეს ძველი, "კრუგზე" მომუშავე, გაცვეთილი ე.წ. ჟურნალისტები. ისინი სხედან საპასუხისმგებლო სავარძლებში და დაკავებულნი არიან "სელფაობით", თავიანთი დაჩამიჩებული თეძო-ბარძაყების გამომზეურებით. ისინი იღებენ კაი ხელფასებს არაფერში... უფრო სწორად, საბოტაჟსა და მოსახლეობის გამწარებაში. მაგალითად, რა მოხდა თბილისის მერიაში კახა კალაძის მისვლის შემდეგ? პარადოქსია - იქ მიიყვანეს ქუჩაში ნაპოვნი ძაღლი, დააბინავეს, აჭამეს, ასვეს, მოუარეს, ხოლო პარტია "ქართული ოცნების" წევრები, რომლებსაც კალაძის მხარდაჭერის გამო "ნაცები" შეურაცხყოფას აყენებდნენ და საბოტაჟს ეწეოდნენ, გაუშვეს, გაყარეს, ქუჩისკენ მიუთითეს. მიზეზად გადატვირთული შტატები დაასახელეს, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ერთ კვირაში იმავე პოზიციებზე კონკურსი გამოაცხადეს და იცით, კონკურსანტებს გამოცდა ვინ ჩაუტარა? არ დაიჯერებთ, მერიის დაცვის უფროსმა (!!!) და იცით, თავისუფალი ადგილები ვისით შეავსეს? არ დაიჯერებთ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ჭეიშვილის "ნაციონალი" ნათესავ-მეგობრებით. რას ნიშნავს ხელისუფლებისთვის პიარი, მხოლოდ გაუმართავი, სტილისტურად საცოდავი "ნიუსების" გავრცელებას? შეიძლება რაღაც დოზით ეგეც საჭიროა, მაგრამ სახელმწიფოსთვის მთავარია პროპაგანდა და იდეოლოგია. გარდა ამისა, ამ ქვეყანაში ინფორმაციის მიწოდების წყარო არ გახლავთ მხოლოდ სოციალური ქსელები, ინტერნეტი და ტელევიზია, ამათ დაავიწყდათ, რომ არსე-

ბობს ბეჭდური მედიაც, რომლის შესახებაც სახელმწიფო პრესსამსახურებში მოკალათებულმა "გოგოშკებმა" და "ბიჭუშკებმა" არაფერი იციან. რეგიონებში ბევრგან არ არის ინტერნეტი, თუ არის, იმდენად ძვირია, რომ ბევრი უარს ამბობს და ისევ ბეჭდურ მედიაზეა დამოკიდებული. რეგიონებში ასი ათასობით ადამიანს არ აქვს კომპიუტერთან ურთიერთობის სურვილი, ზოგს ასაკიდან გამომდინარე, ზოგს კიდევ ხელმოკლეობის გამო. სხვათა შორის, ასეთები თბილისსა და სხვა ქალაქებშიც მრავლად არიან, სადაც აუცილებლად საჭიროა პირადი ურთიერთობები. გამოვა დეპუტატი, თავის "ფეისბუქგვერდზე" რაღაცას დაჯღაბნის, ხუთი კაცი დაულაიქებს და ჰგონია, მთელი სამყარო შეძრა. ეს ნაძირალა "ნაციონალები" ყველგან დაძრწიან, ხალხს ატყუებენ, გონებას უბნელებენ, ტვინებს ურეცხავენ, პენსიის გაზრდას პირდებიან და ბევრი ტყუვდება, ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ გრიგოლ ვაშაძეს პენსიის კი არა, საკუთარი ხელფასის გაზრდაც არ შეუძლია.

"ნაცმოძრაობის" პროპაგანდის ნაწილია მიხეილ სააკაშვილის "მოღვაწეობა" ამსტერდამიდან. ამ ადამიანს შეუძლია, დღეში ცხრაჯერ გარდაისახოს - ხან ფამილარია, ხან ფარისეველი, ხან თვალცრემლიანი მიმტევებელი, ხან კი დორბლიანი მრისხანე. მას შეუძლია, ითამაშოს, თავი კეთილ ჯადოქრად მოგაჩვენოს, მაგრამ ხშირად იშიფრება და წინადადებებს შორის ავლენს თავის ავ ზრახვებს. მაგალითი გნებავთ? ა, ბატონებო: მიხომ "რუსთავი 2"-ს უთხრა, მე რეგიონული ლიდერი ვარ, საქართველოში არავითარი თანამდებობა არ მინდა, უბრალოდ არაფორმალური მმართველი ვიქნები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ივანიშვილივით ფული და დიდი სახლი არ გამაჩნიაო. აქ ერთი ამბავი მახსენდება, რომელიც ძველებისგან ვიცი.

საუკუნეების წინ ტიფლისიდან ქიზიყში ერთი ჩარჩი ჩავიდა, დასახლდა, მიწები იყიდა და ერთ დღესაც თავი ბატონად გამოაცხადა. არაო, გაგიჟდნენ ქიზიყელები, თუ ბატონი აუცილებელია, მაშინ ისევ ჩვენი შაქრო იყოს, შენ ვინ ოხერი ხარო? შეკრეს პირობა ტიბაანელებმა, ბოდბისხეველებმა, ჯუგაანელებმა, ბოდბელებმა, მიუხტნენ ფიწლებით და კუდით ქვა ასროლინეს. ჰოდა, შე წუპაკო მიხავ, თუ არაფორმალური მმართველობა აუცილებელია, ისევ ბიძინა იყოს, ფულს მაინც ხარჯავს და სახლი მაინც აქვს!

გაქსუებულმა მიხომ ისიც გამოგვიცხადა, ჩემი ხელისუფლების წევრები ციხეში რომ სხედან, მაგათ თანამდებობებზე არ დავნიშნავ - წავიდნენ, დაისვენონ, ოჯახებს დაუბრუნდნენ, ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ უცხოეთის ქვეყნებში იმოგზაურონო. ჯერ ერთი, ეს აფრენს კაი გვარიანად, გეგონება უკვე ჩაიბარა ქვეყანა და მეორეც - როგორ წარმოგიდგენიათ, ჯალათებს რომ ვამოგზაურებთ ჩვენი ხელშეწყობით?! ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: ბებიათქვენის ტრაკმა!

ღალატი! - აი, ის საშინელი სიტყვა, რომელმაც "ქართული ოცნება" ყველაზე მეტად დაზარალა. ღალატი + შიში! ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა "ოცნების" ზოგიერთი დეპუტატი, სახელმწიფო მოხელე თუ რიგითი ჩინოვნიკი დააყენა ღალატის გზაზე. ბოლოს დროს თვალშისაცემი გახდა მავანთა დაუძლურება და "ნაციონალებისკენ" გადახრა. ეს გამოიწვია ავბედითმა კოჰაბიტაციამაც - ბევრმა არასწორად გაიგო ავაზაკებთან თანაცხოვრების არსი. მეტიც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ თვით ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაშიც ბევრი ვერ მიხვდა, რას წარმოადგენს ბატონი ბიძინა, ვინ არის და რა უნდა. დიახ, თავი მოაქვთ მასთან ახლობლობით, მაგრამ მას არ იცნობენ. თქვე ოჯახაშენებულებო, ადამიანი მუდმივად აკრიტიკებს "ნაციონალებს" და ამავე დროს ამბობს, ეგენიც ჩვენი შვილები, ძმები და დები არიან, უნდა მოვაქციოთო. ეს სიტყვები ახალი არ არის ჩემთვის, ამას ამბობდა ჯერ კიდევ 2012-ში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ "ქართული ოცნების" მომხრეები უნდა გაყაროთ სამსახურებიდან და "ნაციონალები" კიდევ მიიღოთ? აი, ღალატის პირველი ნიშანი - დღეს სახელმწიფო სამსახურებში ამ ხელისუფლების მომხრეები უმცირესობაში არიან და ვაშაძის მომხრეებისგან განიცდიან საშინელ წნეხს. დავუბრუნდეთ ღალატის თემას: მაგალითად, რა მოხდა სამტრედიაში, რატომ წააგო კახა კალაძემ თავის რაიონში? იმიტომ, რომ ადგილი ჰქონდა ისევ ღალატს და გულგრილობას. პირველი ტურის წინ მე შინაურულად შემატყობინეს, რომ "ქართული ოცნების" "სასტავი" ტრაკს ცუდად ათამაშებდა. ეს ინფორმაცია გადავეცი იმ ადამიანს, ვისაც ეხებოდა. არ არსებობსო, გამორიცხულიაო, მაგათ საკუთარ თავზე მეტად ვენდობითო. აჰა, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ენდე და ენდეე! თავიც კი არ შეიწუხეს, რომ ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადაემოწმებინათ, წამოწვნენ მხართეძოზე, ეგონათ, იოლად მოიგებდნენ. მარცხის შემდეგ, მომდევნო დღეებში "ოცნების" შტაბში ოჯდა ორი კინკილა ახალგაზრდა, ხოლო "ნაციონალების" შტაბთან მანქანის გასაჩერებელი ადგილი არ იყო. ეს რაზე მიანიშნებს, ღალატზე, ხომ? ეს ინფორმაციაც მივაწოდე (არადა, თვითონაც უნდა სცოდნოდათ) სადაც ჯერ არს და ამჯერად მოჰყვა რეაგირება, ყურები შეიბერტყეს. შემდეგი მაგალითი ეხება ჩემს მშობლიურ სიღნაღის რაიონს. ვცდილობ, ამ საკითხს ძალიან ფრთხილად მივუდგე, იქ უამრავი შინაური მყავს, მაგრამ როცა საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, ვერავის დავინდობ. ახლა მივმართავ სიღნაღის დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს, რომელიც "ქართული ოცნებიდან" შევიდა პარლამენტში: შვილო თუ ძმაო, ერთი აქეთ მოიხედე... ცხოვრება ჭრელია, შეიძლება ხან მერი არ მოგწონდეს, ხან საკრებულოს თავმჯდომარე, შეიძლება ვიღაცა გეზიზღებოდეს, ან უზომოდ გიყვარდეს, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა ქვეყანა შენს ბოღმას არ უნდა გადააყოლო და როცა საქმე მის მომავალს ეხება, ნერვები უნდა დაიოკო. შენ ხალ ხალხის რჩეული, თუ საარჩევნო შტაბში არეულობაა, თუ ჩინოვნიკები ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, განზე კი არ უნდა გადგე, მოვლენების ცენტრში უნდა ტრიალებდე!

აი, ასე, ჩემო მკითხველო, ალბათ მიხვდით, რა ხდებოდა სიღნაღის საარჩევნო შტაბში - ძაღლი პატრონს ვერ სცნობდაო, სწორედ ისე იყო საქმე და ამით იხეირეს კიდეც "მიშმაკებმა". სხვათა შორის, იქვე, კახეთის ერთ-ერთი რაიონის მაჟორიტარს უთქვამს შინაურულ წრეში - რა ვქნა, კაცო, "ნაცები" მაინც მოდიან და იძულებული ვარ, იმატ მხარეს გადავიდე, აბა, პარლამენტს ხომ არ ჩამოვშლითო? ეს მაჟორიტარიც "ქართულმა ოცნებამ" შეათრია პარლამენტში. იგივე უნდა ითქვას სამტრედიაზე და საერთოდ, მაჟორიტარები რომ არ გაეკარნენ თავიანთ საარჩევნო შტაბებს, ნეტა რაზე მიანიშნებს, ღალატზე ხომ არა?!

* * *

რაღა დაგიმალოთ და... მეორე ტურის წინ კი გამოცოცხლდა "ქართული ოცნება", მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. როგორც სანდო წყაროები მატყობინებენ, "ნაცხროვის" ოდიოზური ფიგურები აქტიურად აწარმოებენ იატაკვეშა მუშაობას - კაფეებში, რესტორნებსა და ბნელ ადგილებში ხვდებიან ასევე საზოგადოების ოდიოზურ ფიგურებს, ცნობილ სახეებს და თავიანთებურად "აბამენ" - ზოგს აშანტაჟებენ, ზოგს კიდევ ფულს და თანამდებობას პირდებიან. "ნაცხროველები" ყველას არწმუნებენ, რომ "ქართული ოცნება" უკვე დამთავრებულია და მომავალი მათ ეკუთვნით. ორიოდე სიტყვით უნდა მოვიხსენიო "რესპუბლიკელებიც", რომლებიც ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმა წამოყარა სარკოფაგიდან.

ეს იყო 2012 წლის გაზაფხული. მე და ბატონმა ბიძინამ ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. არავინ გვესწრებოდა, ორნი ვიყავით. "რესპუბლიკელებზე" ჩამოვარდა სიტყვა. ბატონმა ბიძინამ მკითხა, რას უწუნებო? მოღალატეები არიან-მეთქი. რას გულისხმობო? ზვიად გამსახურდიადან მოყოლებული, ყველგან იყვნენ, ყველას აეკიდნენ და ბოლოს ყველას უღალატეს, არც თქვენ დაგინდობენ-მეთქი. განათლებული ხალხია, გამოსადეგიო. განათლებული კი არა, გაიძვერა ხალხია-მეთქი. კარგიო, ყველაფერი კარგად იქნებაო.

გავიდა ცოტა ხანი და "რესპუბლიკელებმა" მართლაც დაიწყეს ჩვეული სტილით მოქმედება. ახლა კი მიცვივდნენ გრიგოლ ვაშაძის შტაბში და მხარდაჭერა გამოუცხადეს. ვიცი, ივანიშვილს იმ ეტაპზე სხვა გზა არ ჰქონდა, მაგრამ ასეთმა მიდგომამ მაინც გაანაწყენა "ქართული ოცნების" მხარდამჭერები და ამიტომაც დადგა არასახარბიელო შედეგი. სხვათა შორის, "რესპუბლიკელები" ღალატით მივიდნენ ივანიშვილთან, სანამ მივიდოდნენ, უკვე დაჩამიჩებული ლევან ბერძენიშვილი წინასწარმეტყველებდა, ეგ 7 პროცენტზე მეტს ვერ მიიღებს, შანსი არ აქვსო. მერე შეეთრნენ პარლამენტში და დაიწყეს ბრიქაობა, ყველას ზემოდან უყურებდნენ, ერთი-ორჯერ მოხვდათ კიდეც კულუარებში. როცა ყველაფერს მიხვდნენ "ოცნებაში", ანუ ბიძინა ივანიშვილის კარზე, კი ამოარტყეს პანჩური 00,1-პროცენტიან "სამადავოლნი ბალვანებს", მაგრამ ჩვენ ხომ ამასობაში ნერვები გაგვიფუჭდა?!

და ბოლოს... ჩვენ ამ ომსაც მოვიგებთ მეორე ტურში, აქ უკვე ლაპარაკი არ არის, დაო ზურაბიშვილო, შენზე და რაიმე პოლიტიკაზე, როგორც "იმედის" "ღამის შოუში" იხუმრეს, ახლა ცოცხები ერთ ადგილას გვაქვს მობჯენილი და მეორე ტურში გადაწყდება, ეს ცოცხები უკან წავა თუ წინ წამოვა. შენ კი, ამხანაგო ვაშაძევ, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე, ბოლომდე ხარ გაშიფრული, შე ოღრაშო!

გელა ზედელაშვილი

გამოვაცხადოთ 2 დეკემბერი „ნაცმოძრაობის“ დასაფლავების დღედ!

„ნაცმოძრაობას“ ჯერ დავმარხავთ, მერე ისევ ამოვთხრით, მერე ისევ დავმარხავთ და კვლავ ამოვთხრით... სანამდის შეიძლება ეს გაგრძელდეს?!

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ნიკოლოზ მჟავანაძე.

როცა სახლი იწვის, ხალხი იმას ფიქრობს ჯერ ცეცხლი ჩააქრონ და მერე არკვევენ ხანძრის გამომწვევ მიზეზებს. დღეს ჩვენც ამ სიტუაციაში ვართ, ჯერ თავი უნდა გადავირჩინოთ მერე დავიწყოთ კვლევა, რატომ აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვართ. ვიმეორებ, რა ვითარებაშიც დღეს აღმოვჩნდით, ეს სამწუხაროდ, პირველ რიგში

„ქართული ოცნების“ ბრალია, მაგრამ მეორე ტურში აუცილებლად სალომე ზურაბიშვილს უნდა მივცეთ ხმა, მერე გავარკვიოთ რა მოხდა, „ქართულ ოცნებას“ კატეგორიულად მოვთხოვოთ, რომ ბოლოს და ბოლოს გააუქმოს ნაცმოძრაობა, არ შეიძლება თამაში ასეთ საშიშ ძალასთან. თუ ნაცმოძრაობა მობრუნდა ხელისუფლებაში, არც დემოკრატია გვექნება და არც რაიმე სახის თავისუფლება, კიდევ უფრო მეტი ოკუპირებული ტერიტორია გვექნება, უფრო მეტ ტერიტორიას დავკარგავთ. მე უბრალოდ ხალხის მიკვირს, რაც არ უნდა გაღიზიანებული იყო „ქართულ ოცნებაზე“, მეცოცხეებსა და გამაუპატიურებლებს რატომ უნდა მისცე ხმა?!

ვფიქრობ, არჩევნების ამგვარ შედეგს დადებითი მხარეც აქვს, ხომ გაგიგონიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდეს „ქართული ოცნება“. წარმოიდგინეთ, სალომე ზურაბიშვილი უპრობლემოდ რომ გამხდარიყო პრეზიდენტი, მერე საპარლამენტო არჩევნები მოდის, იქ რომ მიეღო მმართველ პარტიას ასეთი სავალალო შედეგი, მერე უკვე ვეღარაფერს ვიზამდით ხომ? ამიტომ ხელისუფლებამ სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს. სხვათა შორის, ეს შედეგი შიდა ღალატის ბრალიც იყო. ჩემი ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილის შტაბის წევრებმა გაყიდეს ქალბატონი სალომე, გრიგოლ ვაშაძეზე იმუშავეს, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ღალატთანაც გვაქვს საქმე. მე არასდროს მითქვამს არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილისთვის მიეცათ ხმა, მაგრამ არც გამილანძღავს და არც ის მითქვამს ვაშაძისთვის დაეჭირათ მხარი. შეიძლება არ ვარ სალომე ზურაბიშვილის ფანი, მაგრამ იმას კარგად ვაცნობიერებდი, რომ არ შეიძლებოდა მისი ლანძღვა, რადგან ამით ნაცების წისქვილზე დავასხამდით წყალს, აბა, სხვა ვინ გაიმარჯვებდა გელა სალუაშვილი თუ თემურ შაშიაშვილი, რომელთა მიმართაც არავითარი პრეტენზია არ მაქვს. ხომ გამოჩნდა ზღაპარი იყო, ვიღაცები რომ ყვიროდნენ (აქ კიდევ ერთი ლუსტრაცია მოხდა), ბიძინამ იყიდა ვაშაძე, ჯიბეში უზისო, ისიც კი თქვეს, თან ძალიან „დამაჯერებლად“, ბიძინა ვაშაძეს გახდის პრეზიდენტადო. ძალიან მაინტერესებს, სად არის ახლა ეს ხალხი? მე არაერთხელ მითქვამს მათ შორის, თქვენს გაზეთთანაც, რომ ნაცების ვითომდა გაყოფა იყო ბლეფი, არავითარი გაყოფა არ მომხდარა, ისევ ერთნი არიან, ხომ ხედავთ, ვაშაძე, კოლექტიური ნაცები თავიანთ სატელიტებიანად და „ენჯეოშნიკ“-მედია საშუალებებიანად კვლავ ერთი გუნდია. ცხოველი სისხლს რომ იგრძნობს და დაიგეშება, ესენიც ზუსტად ასე არიან, იგრძნეს რომ შეიძლება რამე გამოდნეს და ბოლომდე დაიგეშნენ, ყველაფერზე წამსვლელები არიან. პლიუს ამას უკრაინიდან ჩამოყვანილი ყავთ 500 „ბოევიკი“ და სხვა სცენარისთვის ემზადებიან. ახლა რომ გვაჩვენებენ, ახალქალაქში ვიღაცამ სცემა ნაცების წარმომადგენელიო, ესეც დადგმული სპექტაკლია, ამას იმიტომ აკეთებენ ნაცები, რომ მერე თვითონ გამოიყენონ ძალა და თავი იმართლონ, თავს ვიცავდითო. ვიმეორებ, ესენი ყველაფერის მკადრებლები არიან. მე არ ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს ნაცებზე რომ ამბობს, ესენიც ჩვენი ხალხიაო. ფაშისტებიც გერმანელები იყვნენ, იცით, გერმანიაში დღესაც რამდენი ფაშისტური მიმდინარეობებია, რომლებიც ზარზეიმით აღნიშნავენ ჰიტლერისა და ჰებელსის დაბადების დღეებს, მაგრამ გერმანია იმ მოტივით, ჩვენი ხალხიაო, თავზე ხელს არ უსვამს. დღემდე სჯიან ღრმად მოხუცებულ ნაცისტ დამნაშავეებს. რას ნიშნავს ჩვენი ხალხია, მაშინ რატომ აკრძალეს კომუნისტური პარტია, კომუნისტები არ იყვნენ ჩვენი ხალხი, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა ფაქტობრივად მათ ააშენეს? ნაცმოძრაობაც უნდა აიკრძალოს, კანონი გვაძლევს ამის უფლებას და საშუალებას, პარტია, რომლის ლიდერებიც ეწევიან ძალადობას, მათ მიმართ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენები, საკონსტიტუციო სასამართლოს მეშეობით შეგვიძლია ავკრძალოთ. როდემდე შეიძლება 2012 წლის შემოდგომაზე ბუჩქებში შემძვრალი ნაცმოძრაობა პოლიტიკურ სივრცეში დავაბრუნოთ, დავმარხოთ, ამოვთხაროთ, მერე ისევ დავმარხოთ, ისევ ამოვთხაროთ, სანამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს?

ამ ტელევიზიებს ეს ექვსი წელი ნაციონალების პიარის მეტი არაფერი უკეთებიათ, მაგათ სტუდიებში სულ კოლექტიური ნაცები, მათი სატელიტები და „ობიექტური“ უფლებადამცველები სხედან და ახლაღა გაახსენდათ, რომ ნაცმოძრაობა ცუდი ძალაა. ეს ტელევიზიებიც დამნაშავეები არიან, რაიონებში ხალხი ინფორმაციას რომ არ ფლობს სასიკეთო რა გაკეთდა „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს. გურიიდან მაქვს ინფორმაცია, რომ სოფლებში, სადაც ცხოვრებაში არ გაყვანილა გზა, სიკეთე არ უნახავს იქაურებს, გზა, სკოლა, საბავშვო ბაღები გაუკეთეს, ამათ კი ნაციონალებს მისცეს ხმა. მითხარით, სად არის ლოგიკა. შე დალოცვილო, ნაცების მმართველობისას კატასტროფულ მდგომარეობაში იყავი, ახლა რაღაც სიკეთეებია და ამას არ აფასებ? სამინისტროების პრესსამსახურებში ყავის სმის მეტს არაფერს აკეთებენ, ქვეყანაში უამრავი კარგი გაკეთდა, მაგრამ არაფრის პოპულარიზაცია არ ხდება. ქვეყანა ვითარდება, რაიონებში გზები კეთდება, სკოლები, საბავშვო ბაღები შენდება, უამრავი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა და კაციშვილმა არაფერი იცის, აბა, რა დანიშნულება აქვს პრესსამსახურს თუ ეს ინფორმაცია მოსახლეობამდე არ მიიტანეს? ესენი „რუსთავი-2“-ის დღის წესრიგს უყურებენ, სახელმწიფო ტელევიზია გვაქვს, საზოგადოებრივი მაყურებელი, მაგრამ რად გინდათ, ისიც კერძო ტელევიზიების მსგავსად „რუსთავი-2“-ის სწორებაზეა.

- გამოსავალს რაში ხედავთ?

- ვაშაძე, ხომ ხედავთ უკვე დაპირებებს იძლევა, რომ ყველა ნაცჯალათს შეიწყალებს. კარგი, გადალახა სალომე ზურაბიშვილმა ბარიერი და გახდა პრეზიდენტი, მერე რას ვაკეთებთ? აუცილებლად უნდა მოხდეს „ქართული ოცნების“ რიგების გაწმენდა, თვითონვე აღიარეს შიდა მოღალატეები გვყავს და ახალი ხალხი გვჭირდებაო. თუ პარტიაში ყველაფერი კარგადაა, ახალი ხალხი რატომ დაჭირდებოდათ? როგორც იქნა მიხვდნენ, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ღალატია. ეს ყველაფერი ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის შედეგია, 2012 წელს, ახლად არჩეულ პარლამენტს უნდა ეთქვა, რომ ის არჩევნები გაყალბდა, არადემოკრატიულად ჩატარდა და რიგგარეშე არჩევნები უნდა დაენიშნათ. გაყალბების გარეშე ნაციონალები იმდენ ხმებს ვერ მიიღებდნენ, ამიტომ იმ პარლამენტის ამოქმედება ძალიან დიდი შეცდომა იყო. ვიმეორებ, ერთადერთი გამოსავალი სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაა, თორემ სისხლისღვრა, ტერიტორიების დაკარგვა, ლარის გაუფასურება და შიმშილობა მერე ნახეთ. ახლახანს ტყიბულიდან დამკავშირდნენ, თურმე ვიღაცები დარბიან და ხალხს აშინებენ, გრიგოლ ვაშაძეს თუ არ მისცემთ ხმას, შახტები დაიხურებაო. მმართველ პარტიაში პორტირებული ყველა ნაცი ნაცმოძრაობაზე მუშაობს, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ, როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს, ისე არ არსებობს ყოფილი ნაცი. ზოგი ამ პორტირებულთაგანზე ალბათ გადაღებული აქვთ კომპრომატები, ალბათ ცოცხგაკეთებულიც ჰყავთ გადაღებული. ნაცებმა დააკომპრომატეს, ამიტომ სხვანაირად ვერ იქნებიან. ზოგი შეიძლება არ ამბობს ხმას ნაცმოძრაობას ვაძლევო, მაგრამ მათზე მუშაობს. ყველაზე გამაღიზიანებელი მედროვე პოლიტიკოსები არიან, დავით ჭიჭინაძე გუშინ „ქართულ ოცნებაში“ იყო, დღეს ამბობს დემოკრატიისთვის კარგი იქნება თუ მეორე ტურში ვაშაძე გახდება პრეზიდენტიო. მე ვხვდები ვინ ვინ არის და „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაარკვია? თითქმის ყველა რაიონის მერია თუ გამგებელი ნაცია, რანაირად შეეძლო სალომე ზურაბიშვილს ამ პირობებში არჩევნები მოეგო, როცა ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ნაცებითაა გაძეძგილი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



სალომე ზურაბიშვილის არჩევნებში გამარჯვების ათი ფაქტორი

პირველი ფაქტორი

სადღეისო პრობლემა უფრო ნათლად რომ წარმოჩინდეს, ამ ყველაფრის მამოძრავებელ ძალას მივაპყრობ თქვენის ყურადღებას – ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს. 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენი სამამულო ტვირთის მხრებით აწევა მხოლოდ ამ ერთადერთმა პიროვნებამ შეძლო, რომელმაც საქართველო ფაქტობრივად გადაარჩინა უეჭველი ზნეობრივი გაპარტახებისაგან. ამ განცდას სულის შეგუბებამდე ამძაფრებს პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ V ყრილობაზე მის მიერ წარმოთქმული ძელგი სიტყვა. მოვიშველიებთ მის დასკვნით აკორდს: **„მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და რომ უდიდესი წარსულის ხალხს გვექნება ღირსეული მომავალი! ეს არის ჩემი მთავარი და აბსოლუტური მიზანი! ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ! სწორედ ამიტომ დავბრუნდი პოლიტიკაში!“** და ჩვენც გვჯერა საქართველოს სწორუპოვარი ჭირისუფალის, მისი ლხინისმტე პიროვნების, მავანთაგან მაოხრებლად ცილდაწამებულის, რომელიც ფაქტობრივი საქართველოს ლობის ამპლუაში მოვლენია ჩვენს გვემულ ჯიშ-ჯილაგს. მიდი ახლა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ნატამალი თუ გიფხაკუნებს გონებაში, ნუ ენდობი მის კანდიდატს საქართველოს პრეზიდენტობაზე – ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის!**

მეორე ფაქტორი

ნაციონალურ მოძრაობას ელექტორატის გარკვეული ოდენობა ჰყავს სტაბილურად. ამ ხალხს დღემდე ვერაფრით შეუგნია მათი ფავორიტი პარტიის მავნებლობა. ეს მასა ძირითადად გვარნაცვალი საქართველოა, საქართველოს ხიზანი მოსახლეობა საუკუნეებშის განმავლობაში, რომელთაც უჭირთ ორი კულტურის სამსახური. ადრე რუსულით იოლას გადიოდნენ. ახლა, როცა რუსულს ფრთები დაუმოკლდა, ხოლო ქართული ფასეულობანი მათ ჯეროვნად „არ ეკერკებათ“, ცხადია, ურჩევნიათ ნაციონალების მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოებრივი წყობა – სინგაპურიზაცია, სადაც ამერიკისა არ იყოს, ეროვნულობას მნიშვნელობა არ ექნება. იქნება ერთი სახელმწიფო ენა და მორჩა. „ნაციონალები“ თავიანთი მოწონებული პროექტით – იუსტიციის სახლით, თვით ჰილარი კლინტონიც რომ აღაფრთოვანა, უსწრაფესად ხერხდება ქართული მიწების რაღაც სამოწყალო ლარებში დასაკუთრება. ამისი ძირითადი მიზანი საქართველოში ქართული ფენომენის მოშთობა, ქართული ფენომენის ამოძირკვაა, პრივილიგირებულნი იყვნენ რუსები, სომხები, ქურთები, აზერბაიჯანლები, და კიდევ 80 ეროვნებას მიმატებული ბოლოდროინდელი, ჯერაც აღურიცხველი ჩინელობა, ინდიელობა, არაბობა, თურქობა და ვინ მოსთვლის. აი, ამ ყველაფრის ფონზე, მოდის ქალბატონი სალომე და თამამად ძრავს სიტყვას ქართველი მიგრანტების სამშობლოში მასობრივ დაბრუნებაზე. ეს კი ლიტონი განაცხადი სულაც არ არის. ქართველის სამშობლოში დაბრუნება გულისხმობს სამუშაო ადგილების მომრავლებას. ეს ურთიერთკავშირშია ენდემური ჯიშების აღორძინებასთან, როგორიცაა: ძიკი კვარაცხელიას მომცრო ტანის მუქწითელი შეფერილობის ძროხები, მეკამეჩეობა, მეღორეობა, მეთხეობა, ჩაის კულტურის, მემარცვლეობის დაწინაურება, მუხურის უნიკალური გრძელხორთუმა ფუტკრის მოშენება მთელს მსოფლიოში. აი, რანაირი კარდინალური სხვაობაა „ნაცების“ ხედვასა და სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ პლატფორმას შირის. გასაკვირი არც არის, ის ხომ უმაღლესი რანგის პოლიტიკოსია და ამავდროულად კონგენიალური სოციოლოგ-ფილოსოფოსის, ნეტარხსენებული ჯანრი კაშიას თანამეცხედრე.

მესამე ფაქტორი

გუშინწინ, გუშინ საფრანგეთის მოქალაქე სალომე ზურაბიშვილს, რომელიც თავისუფლების, ამაღლებული სულიერების მექადანაა, მეცივღომე პოლიტიკანებისგან არ ესწავლება, **რა, სად, როგორ, რანაირად**. დიახაც, საფრანგეთში უმაღლეს დონეზეა აყვანილი ნაციონალურ სახემწიფოში სხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესების დაცვა, ადამიანური უფლებებისთვის რუდუნი ზოგადად. ბევრს ნუ ტრაბახობს **აშშ**, თითქოს მათთან ნულამდეა დაყვანილი დემოგრაფიული პრობლემები. არაფერიც! ეთნიკური ჯგუფები ფაქტობრივად ქმნიან მონონაციონალურ სეგმენტებს დიდ ქალაქებში, რომლებიც ცნობილია ლათინური კვარტალის, ჩინური კედელის, ინდიელთა რეზევაციის და ა. შ. სოციალურ კუნძულებად. საფრანგეთში, კი ეთნიკური უმცირესობისადმი ზუსტად ისეთივე მიდგომებია, როგორც საქართველოში. გაგვახსენდება, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული პატივს მივაგებდით რელიგიურ აღმსარებლობებს, ნაბდის გაშლა მიწაზე ათი-ათორმეტი დასახელების ეკლესია-მონასტერი თანამეზობლობდა. აქ არავინ იდევნებოდა საკუთარი სკოლებისა და თეატრების გამართვის გამო. იგივე დამოკიდებულებაა გაზეთების, წიგნების დასტამბვის მხრივ. მე ჩემს „სიცოცხლემისჯილზე“ პრიორიტეტულ წინადადებად წავუწერე ქალბატონს „სამოქალაქო ინტეგრაცია“ ეროვნული თანხმობის მხარდამხარ. აი, ამ ორი ფენომენის შერწყმის შედეგად ჩვენ მივიღებთ უფრო ქმედითუნარიან საზოგადოებას და ამისი გარანტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი იქნება უდავოდ. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ამასწინათ ფრანგულად გამოსაული მისი ჩინებული წიგნი „საქართველოსკენ“, სადაც უმთავრეს ფასეულობად გამოცხადებულია უფალთან გაიგივებული **სიტყვა და მისი მსახური ხალხი**. ამის თაობაზე ჰქონდა საუბარი პრეზიდენტობის კანდიდატს ელექტორატთან შეხვედრისას ქუთაისში, სამეგრელოში, აჭარასა თუ ქართლ-კახეთში. **სიტყვის და ნიჭიერების პრიორიტეტად გამოცხადებისათვის უდიდესი ნდობა უნდა გამოუცხადოს ქალბატონ სალომეს საქართველოს მოსახლეობამ**. ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა!

ქართული მწერლობა, სამშობლოსათვის გულანთებული მრავალი ხელოვანი მზად არის გვერდით დაუდგეს ქალბატონ სალომეს თავისი პატროფილური პოზიციისათვის. მართალია, იგი ამ ხალხს წიგნებს ვერ დაუსტამბავს, ვერც „თიბისი ბანკის“ მსგავსად უთარგმნის საეჭვო რეპუტაციის თხზულებებს, რომ მერე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამიჭენდნენ თამარ მეფის რუსი ზოოფილი თანამეცხედრეთი ან უნიტაზზე წამოსკუპდნენ ხოლმე, სადაც ახლახან მათი მშობელი დედა მოკალათებულიყო და ამ გზით მიაღწიონ უზნეო ერექციას. აი, ამ ყველაფრის საპირწონედ ჟან-პოლ სარტრის, ალბერ კამიუს, ფრანსუა ვიიონის თუ ფრანსუა რაბლეს ტრადიციებზე აღზრდილი ქალბატონი, გასაკვირია გულში იხუტებდეს „ვეფხისტყაოსანს“, სვეტიცხოველს, „ხორუმას“, „მრავალჟამიერს?“! სხვანაირათ წამითაც არ უცხოვრია მას გონებანათელ **ჯანრი კაშიასთან** ერთად. სხვებივით უმამულშვილობით როდი გაუზრდია საზიერი ქალ-ვაჟი.

მეოთხე ფაქტორი

ქალბატონ სალომეს ვაშაძისგან განსხვავებით აკრძალული ილეთებით არ უწევს პენსიონრებთან დასაუბრება ტელეფონით. მის ოპონენტს ეტყობა ბანკებმა მიართვეს კონფიდიციალური საპენსიო სიები ტელეფონის ნომრების თანხლებით. (რაც, შესით, კანონით უნდა ისჯებოდეს) და რეკავს და რეკავს, დილა, შუადღე, სამხარ-საღამო, მაგრამ საქმეს ვერაფერი შველის. და ვერც 200-200 ლარის ჩამორიგებამ გამოიღო უფრო შთამბეჭდავი შედეგი. მეტი შედეგი ვერ გამოიღო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად აქა-იქ მათი თანამოსაგრეების ჩანერგვამ, როგორც ეს მოხდა ზუგდიდში. ეს შედეგი 2 დეკემბერს დარწმუნებული ვარ შარშანდელი თოვლივით არავის ეხსომება, როცა სამეგრელოში ამ საქმის სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოჯახში გაზრდილი მხარის გუბერნატორი **ალექსანდრე მოწერელია** და უაღრესად პროფესიონალი, ზნეობრივად უპატიოსნესი და უმეტოქო მამულიშვილი **ლაშა გვასალია**. ვიცი დაბეჯითებით, კეისარს კეისრისა მიეგება და ღმერთს — საღმრთო. მაშინ იხილავს ყველ აპირველი ტურის პროცენტების მოკუნტულობას, რადგან მეტი პროპაგანდა გაიშლება თავად „ნაცმოძრაობაზე“, (რომელსაც მისი ფანები პატივს მიაგებენ გზების მშენებლობისთვის, ელექტროენერგიის უწყვეტობისთვის, და ა. შ. ამ დროს თვალს არიდებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მათ შეთქმულებას, მის მოსასპობად მიზანმიმართულვერაგულ სვლებს, ადამიანთა უფლებრივ მოსარგალებას, სახელმწიფო კორუფციას და რეკეტს, რომელ ერთს, რომელ მეასეს და მეათასეს, ანტიადამიანურს თუ ანტიკაცობრიულს!

არ კმარა, გეცოტავებათ?! ინებეთ დამატებით თეზისურად:

მეხუთე ფაქტორი – მშვენიერი და ამაღლებული მანდილოსანია ერთდროულად;

მეექვსე ფაქტორი – თამამია, გაბედული ჟანა დ' არკივით, გნებავთ მაია წყნეთელი დაგვისახელებია.

მეშვიდე ფაქტორი – დაუნჯებული, მარგარეტ თეთჩერის პილიტიკური ხიბლის პოტენციის – ქართველი რკინის ლედი. ამას ჩვენ მერე და მერე უფრო დავინახავთ.

მერვე ფაქტორი – სურამის ციხეში ჩაშენებული სისხლ-ხორცის ჯილაგისაა, მისი გალავნების სიმკვიდრისთვის მზრუნველი და მეოხი. დიახაც, ამ სურამის ციხის ხიმინჯებად შემყენებელია იგი რუსეთ-ამერიკას შორის პრაგმატული ურთიერთობების საწინდრად.

მეცხრე ფატორი – სათნოების განსაზიერებაა, ყველაფერთან ერთან ქალური კდემამოსილების ნიმუში, სხვისი ჭირის და სალხენელის გულთან მიმტანი ძალუმად.

დაბოლოს, მეათე ფაქტორი – არის უმაგალითო პიროვნება, არის სწორუპოვარი პიროვნება, თვითნაბადი **მე** შუმერების ბედისწერის დაფების კვალობაზე ორ ზღვას შუა საომარი ლელო საქართველოდან!

გური ოტობაია,
მწერალი.

საცოდავი და შესაბრალისი

ღია წერილი ლევან ბერძენიშვილს

„რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“ – დიდი ამოცნობა არ სჭირდება, თუ რისთვის გავიხსენე ვაჟას ლექსის ლირიკული გმირის მაღაზნეობრივი შეგონება – ლევან ბერძენიშვილი მიხეილ სააკაშვილსა და მის ნაცმოძრაობას „შაეკრა“. ვაშაძის „შტაბკვარწირაში“ ატუზული, ახალი პატრონის მაძიებელი ლევან ბერძენიშვილი იმდენად საცოდავად გამოიყურებოდა, რომ, არ დავმალავ, ბევრი ვიფიქრე, გამემეტებინა თუ არა ეს საბრალო არსება, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, სააკაშვილის მიერ რუსეთის აგენტობაში დადანაშაულებული ბერძენიშვილი ხვალ არ გაიმეორებს, პუტინის „პიარშჩიკის“, შკლიაროვის მიერ ვაშაძისათვის დაწერილ ნარატივს და სალომე ზურაბიშვილს არ გამოაცხადებს მოღალატედ და რუსეთის აგენტად. ვშიშობ, ცრუ და უბირი ოქრუაშვილის მსგავსად, ლევან ბერძენიშვილმაც სამშობლოს მოღალატეებად არ გამოაცხადოს მთელი ქართული ემიგრაცია (მიგვატოვესო, – თქვა ოქრუაშვილმა) და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ისეთი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი სპირიდონ კეიდია და მისი სახლიკაცი მექი კეიდია (სალომეს ბაბუა დედის მხრიდან), გნებავთ, ბიძამისი – მიხეილ კეიდია, რომელსაც ქართველ შინდლერად მოიხსენიებენ, რადგან გერმანიაში სიკვდილისაგან იხსნა ქართველი ებრაელები; ანდა ივანე ზურაბიშვილი (სალომეს ბაბუა მამის მხრიდან). ასევე არსებობს იმის საშიშროებაც, რომ სამშობლოს მოღალატედ და რუსეთის აგენტად გამოცხადდეს ემიგრაციაში დაბადებული ზეინაბ კეიდია, სალომეს დედა, რადგან შვილებს გრამატიკულად გამართული ქართულით ვერ უყვებოდა ძილის წინ ჩვენებურ ზღაპრებს. დარწმუნებული ვარ, ლევან ბერძენიშვილი გულში თავს იმართლებს, რა მექნა, უსახსროდ და უმეკავშირეოდ დარჩენილს პარტია უნდა გადამერჩინაო, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა იფიქროს, რის მაქნისია თავზე ნაცარწაყრილი და გაბახებული, სამნიძის უბიოგრაფიო ქალის ამარა დარჩენილი პარტია. ვისაც ჩემი ლიტერატურული წერილები თუ ესეები წაუკითხავს, ვფიქრობ, დამეთანხმება, მაქსიმალურად ვერიდები ღვარძლსა და სარკაზმს, პიროვნების შეურაცხყოფასა თუ ნიშნისმოგებას (სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილმა სწორედ ამ მოწოდებით დაიწყო საპრეზიდენტო კამპანია, თუმც ისიც ვნახეთ, როგორ უპასუხეს). ახლაც მიჭირს, როცა ლევან ბერძენიშვილს საცოდავი და შესაბრალისი ვუწოდე, მაგრამ ჩვენი საცოდავი ქვეყანა უფრო მებრალება, როცა ქართველი კაცის ასეთ უპრინციპობასა და უღონობას ვხედავ, როცა მეფე-პოეტის თქმისა არ იყოს, ვერაფრით დაგვიძლევია საუკუნეებში გამოტარებული ავი სენი — „ასე ჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინდა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოდ ვინ იმღერეთა?“. ჩემი გაცხარების მიზეზი მარტივია. ის მაწუხებს, რატომ წამოეგო სააკაშვილი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რუსების ავანტიურაზე? რატომ არ იყვირა მთელი მსოფლიოს გასაგონად? რატომ არ უხმო თბილისში ევროპელ პრეზიდენტებს (ისე, როგორც ეს ომის წაგების მერე გააკეთა): რუსები ტყვიებს გვიშენენ და მოგვეშველეთო? რა მიზანი ჰქონდა (უფლებაზე აღარაფერს ვამბობ), ცხინვალის დაბომბვასა, გინდაც დაცარიელებულისა? რა უფლება ჰქონდა სააკაშვილს ქართული მოსახლეობის ცეცხლის ხაზს იქით დატოვებისა? რატომ აღიარა ნაცმოძრაობამ ცხინვალის დაბომბვა? რატომ მოაწერა ამის თაობაზე

ხელი დეკლარაციას, რომელსაც მუდამ აგვიფრიალებენ ცხვირწინ? რა აზრი აქვს ამ აღიარებისა და დანაშაულებრივი ქმედების სალომე ზურაბიშვილზე გადაბრალებას? სალომე ზურაბიშვილმა კი არა, მთელმა ერმა რომ ვიძახოთ, სააკაშვილი და ნაცმოძრაობის ელიტა ფრთიანი ანგელოზები იყვნენო, მათ მიერ ხელმოწერილი დეკლარაციისა და ტალიავინის დასკვნის შემდეგ დაგვიჯერებს ვინმე? თუ სირაქლემის პოზა გვიშველის? მითხრას ვინმემ, გნებავთ ე.წ. ფსევდოგაერთიანებული ოპოზიციიდან და გნებავთ მათმა ახალმა მოკავშირემ, ლევან ბერძენიშვილმა 1993-ში დაკარგულ აფხაზეთს, სააკაშვილის ნაცმოძრაობის უაზრო ავანტურის შედეგად კოდორის ხეობა და შუაგულ ქართლში მთელი ახალგორი და უამრავი ქართული სოფელი რატომ დავამატეთ? რატომ გავმართეთ რუსთაველზე ტაშ-ფანდური და თავი მოვიტყუეთ, ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ომი მოვიგეთო? მანამდე კი ვითამაშ-ვიბურჭალეთ და თბილისში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობა შევქმენით, ქვეყანას ათასობით ლტოლვილი შევმატეთ, თბილისიდან გორამდე, ნაწყალობევი ფულით, საქათმესავით სახლები ჩამოვამწკრივეთ (გულისტკივილით ვიხდი ბოდიშს ამ სახლების მაცხოვრებლების წინაშე) და შედეგად ნაცმოძრაობის ელიტას ფული ვაშოვნინეთ. მერე ვირტუალურ ყოფაში ცხოვრება დავიწყეთ — კლიპები გადავიღეთ, სიმღერები ჩავწერეთ, მომღერლები ვამღერეთ. ვირტუალურ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნებაც კი ვიზეიმეთ: კლიპის გახარებული და სახეგაბადრული მონაწილენი ერთმანეთს აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. თუ არ ვცდები, ამ სიმღერას „მოდიხარ აფხაზეთში?!“ დავარქვით და კლიპის მონაწილეებს ღირსების ორდენები ჩამოვურიგეთ, თითქოსდა მართლაც დაიბრუნეს აფხაზეთი. ლევან, ახლა პირდაპირ შენ მოგმართავ: შენ, რომელსაც არც იუმორის გრძნობა გაკლია და, სხვათა შორის, არც ცინიზმი, უპასუხე ერსა და ქვეყანას, იყო თუ არა სააკაშვილის მხრიდან ყოველივე ეს მართლაც ცინიზმი და ჩვენი აბუჩად აგდება. აი, ამაზე თვალის დახუჭვას და მიშასა ნაცმოძრაობასთან ჩახუტებას ვერ გპატიობ, ლევან! საკუთარი ამბიციურობის ვერმოთოკვასა და მერკანტილიზმს ვერ გპატიობ, საკუთარი თავის მოტყუებასა და ხალხის გაბრიყვების მცდელობას ვერ გპატიობ, ლევან! მიშას და მისი ნაცმოძრაობის ავანტურის შედეგად დაღუპულ რამდენიმე ასეულ ქართველ ვაჟკაცს ვერ გპატიობ, სააკაშვილის მიერ გაჩუქებულ ახალგორში, მშობლიური სახლ-კარის მოსანახულებლად ჩასულ არჩილ ტატუნაშვილის წამებით მოკვლას ვერ გპატიობ. და კიდევ ვინ მოთვლის... რაც იმ ცხრა წელიწადში ნაცებმა სისხლი დაღვარეს, ნუ გაგიკვირდება და, ახლა იმის პასუხსაც შენგან ვითხოვ, ნაცმოძრაობასთან შერიგებულო და სააკაშვილის ბოდიშის „დიდსულოვნად“ მიმღებო, ლევან! ოღონდ ის მაინტერესებს, სააკაშვილმა სხვებთანაც თუ დაგაბარა ბოდიში? თუნდაც საკუთარ ნათლიმამასთან, შენს ყოფილ თანამებრძოლ კობა დავითაშვილთან, თავი რომ გაუტეხა და სამუდამოდ დააინვალიდა. სხვებზე, ასეულობით მოკლულ, გაუპატიურებულ, თვალდათხრილსა თუ მაღაზიის სახურავებზე შემოგდებულ ცხედრებზე აღარაფერს გკითხავ, იმიტომ რომ მგონი, ამნეზია დაგემართა, ოღონდ ეს, არა მგონია, ასაკის ბრალი იყოს, ამას სამწუხარო ზნეობრივი (?!) საფუძველი აქვს. აღარც კი ვიცი, ნაცმოძრაობის რომელი დანაშაული გაგახსენო, ლევან! ვიცი, ვერ და არ გაიხსენებ, მაგრამ ერი და ქვეყანა ამის პასუხს ახლა შენგანაც მოითხოვს. მართალია, პოლიტიკური ამნეზია დაგემართა, მაგრამ, ვგონებ, შეძლებ, ცოტა რამ გაიხსენო ლიტერატურიდან. კერძოდ, საზოგადოების წინაშე გასაოცარი ზნეობრივი პასუხისმგებლობით აღვსილი ხევისბერის სიტყვები: „მოძმეთ სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!“ ამაზე რა პასუხი გაქვს, ლევან! შენ რომ მიშამ ბოდიში მოგიხადა და რაღაც საცოდავ თანამდებობასა თუ ფულს დაგპირდა, ეს ვერაფერი პასუხია!

ამირან გომართელი



„ნაციონალების“ დაბრუნება საქართველოს დაღუპვას ნიშნავს!

გვესაუბრება პოეტი, მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ბაღათერ არაბული:

— ბატონო ბაღათერ, არჩევნების შედეგები ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ერთ თვეში მეორე ტური გაიმართება. რას უკავშირებთ ამ ყველაფერს?

— „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე პრობლემა შექმნა, რადგან საკუთარ ამომრჩეველს გამოკვეთილად არ უთხრა დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭერდა მხარს თუ საკუთარს შესთავაზებდა. როცა გაირკვა, „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს უჭერდა მხარს, ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო, რადგან „ნაციონალებს“ კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ მუშაობა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონული მასშტაბით. „ქართულმა ოცნებამ“ სტარტი ძალიან გვიან აიღო, მათი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მანქანა, ფაქტობრივად, ჩავარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტელევიზიები მთლიანად გრიგოლ ვაშაძეზე მუშაობდნენ, „იმედი“ აქა-იქ, წყვეტილ-წყვეტილ აშუქებდა სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრებს მაშინ, როცა „რუსთავი-2“ ყოველდღიურად დგამდა შოუებს, სადაც სალომე ზურაბიშვილის მისამართით ანტიპროპაგანდა მიდიოდა. ეს დიდი შეცდომა იყო. ასევე, შეცდომა იყო, როცა მმართველმა გუნდმა, ფაქტობრივად, პარტიული მუშაობა მოშალა — არც საქალაქო შტაბი არსებობდა, არც რაიონული. რეგიონული შტაბები ყველა დახურული იყო. რეგიონებში ჩავდიოდი და მპასუხობდნენ, რომ ყველა შტაბი დახურულია. ამ დროს „ნაცები“ გამწარებულები მუშაობდნენ. ჩემი აზრით, სამართლიანი ფაქტი დადგა. თავის დროზე „ნაციონალებმა“ ჩათვალეს, რომ ხელისუფლებაში მარადიულად იქნებოდნენ, ასე დაემართა „ქართული ოცნების“ გუნდსაც — მათ დაიჯერეს, რომ ხალხთან ურთიერთობის, კომუნიკაციის გარეშე, ამ არჩევნებს, მაინც მოიგებდნენ. მათ მოსახლეობასთან კონტაქტი დაკარგეს.

„ქართული ოცნების“ მთავარ შეცდომად ასევე, კოაბიტაციის შემოღებას მივიჩნევ. დამნაშავე სისტემის შემქმნელების საკვანძო თანამდებობებზე დატოვება არაფრით შეიძლებოდა. ეს ხალხი ყველგან დარჩა, მათ შორის, პარლამენტშიც. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კი, რომელიც 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს მთავარ ბრძოლაში მხარში ედგნენ გარიყულნი დარჩნენ. ჩანერგილმა „ნაციონალებმა“ ივანიშვილის გვერდით მისი მხარდამჭერების ადგილი აღარ დატოვეს. შედეგად, ფაქტობრივად, „ნაცებმა“ ყველა თავისი მხარდამჭერი არჩევნებზე მოიყვანეს. „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული ხალხი კი, ვინც მათ 2012 წელს აქტიურად უჭერდა მხარს, საარჩევნო ყუთთან აღარ მივიდა.

— როგორ ფიქრობთ, მეორე ტურზე მივა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი?

— ეს რაც მოხდა, კარგია იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ გამოფხიზლდება და თავის მხარდამჭერებს უფრო მეტად დააფასებს. მათ გუნდური მუშაობა უნდა დაიწყონ და მომხრეები კვლავ გვერდზე დაიყენონ. დღეს, ასეთი მოცემულობაა — ერთ მხარესაა

„ნაცმოძრაობა“ თავისი ნგრევებით, ციხეებით, მკვლელობებით, ქუჩაში დახვრეტებით, გაუპატიურებებით. ხალხო კაცების გამაუპატიურებელი, უბირია არ მომკვდარა, ცოცხალია, „ნაცები“ ვიაგრას ისევ იშოვიან და თუ არ გამოვფხიზლდებით კიდევ არაერთ ქართველს გააუპატიურებენ. ნუ გვავიწყდება, რომ რობაქიძის, გირგვლიანის მკვლელები ისევ შემართულები არიან. ვაშაძეს, რომელიც პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს იმდენი ჭკუა არ ყოფნის ახლა მაინც მოთოკოს თავისი ვნებები და ხმამაღლა აცხადებს: ბედუკაძეს შუბლს გავუხვრეტდიო. არადა, ამ კაცმა მთელი იმ სისტემის ბოროტება წარმოაჩინა. სააკაშვილი — „ნაცების“ ბელადი, მსოფლიო პოლიტიკური მაწანწალა გვემუქრება: ჩამოვალ და ყველას ტყავს გავაძრობო. ამიტომ, კარგად უნდა გავიაზროთ, რას მოგვიტანს ვაშაძის გამარჯვება. ეს ნიშნავს: დესტაბილიზაციას, მკვლელობებს, ციხეებს, მასიურ დაპატიმრებებს. თუ ადრე 300 ათასი პრობაციონერი გვყავდა, ახლა 500 ათასი გახდება. იმიტომ, რომ ვინც მანამდე დაუსჯელი დარჩათ ყველას დაევრევიან, პატარა გამონათებასაც კი ჩააქრობენ, არ გააჭაჭანებენ დამოუკიდებელ პრესას, ტელევიზიას, სრული დიქტატურა დამყარდება. ვაშაძე ამბობს: შევიწყალებ საკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიას, უბირიას, ქარდავას. ეს გვინდა?! ამ მკვლელებმა საქართველო გაანადგურეს, 150 ახალგაზრდა ქუჩაში ჩახოცეს, ციხიდან ყოველთვე 5–10 მოკლული პატიმარი გამოჰყავდათ. ნუთუ, ქართველებს ამ მკვლელების დაბრუნება უნდათ? იმ შავბნელი დროის დაბრუნება გვინდა?! ჩემო ძვირფასო ქართველებო, მინდა გთხოვოთ, გონს მოვეგოთ. კი, შეიძლება გაბრაზებულები ვართ, მაგრამ ვის ვუბრაზდებით — საქართველოს, ჩვენს მომავალს, ჩვენს შვილებს? ჩვენ ხომ საქართველოსთვის ვიბრძვით და არა კონკრეტული პიროვნების მხარდასაჭერად. ჩვენ, პოზიციებისთვის, იმ მდგომარეობისთვის ვიბრძვით, რომელიც ხვალინდელი, უკეთესი საქართველოსთვის გვინდა. ბრძოლა არ დამთავრებულა, ის ახლა იწყება.

— რა არჩევანის წინაშე დგას ქართველი ხალხი?

— ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილი სწორედ ის პიროვნებაა, ვისაც ქართველმა ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს. იგი არის ევროპაში დაბადებული, ღირსეული წინაპრების შთამომავალი. მოგეხსენებათ, საქართველოში ქალის, დედის ფენომენს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გვახსოვს, თამარის მეფობისას რა დიდი რეფორმები განხორციელდა, დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“. არაერთი გმირი ქალი გვყავდა — ქეთევან წამებული, მაია წყნეთელი, თინა ვაშლოვნელი. ასევე, მეოცე საუკუნეში მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის, კოტე მაყაშვილის 19 წლის ქალიშვილი — მარო მაყაშვილი, რომელიც საქართველოს თავისუფლებას შეეწირა. ამ ქალების მხრებზე, წესიერებაზე, სინდისზე, ოჯახებზე იდგა საქართველო. სწორედ მათი შთამომავალია სალომე ზურაბიშვილი. იგი საფრანგეთში საქართველოს სიყვარულით გაიზარდა. მისი შვილები ქართულად ფანტასტიურად ლაპარაკობენ. სალომე საფრანგეთის დიპლომატიის წარმომადგენელი იყო, საქართველოში ჩამოვიდა, დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და მისი უშუალო მოლაპარაკებებით რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოდან გავიდა. იგი ასევე, არის ლიტერატურის, ხელოვნების მოყვარული, კულტურის, ხელოვნების ფასი იცის. მშვენიერი ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, სადაც წარმოჩენილია საქართველოს დღევანდელობა. ასე, რომ სალომე ზურაბიშვილი ძალიან კარგი კანდიდატურაა. მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველო სტაბილური ქვეყანა იქნება და ევროპული განვითარების საშუალება მიეცემა, რასაკვირველია, ქართული ტრადიციების დაცვით. უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესია თავად ბიძინა ივანიშვილის წვლილი ქვეყნის განვითარებაში. ამჟამად, კვლავ გამარჯვებისთვის საჭიროა წესიერი, პატიოსანი კადრების გვერდით დაყენება. ჩვენ, თავისთავად ცხადია, გამარჯვებისთვის წინ დიდი ბრძოლა გველოდება, მაგრამ ამას სამართლიანი, კანონიერი გზით მოვიპოვებთ და მჯერა, ქართველი მოსახლეობა, აუცილებლად, მოვა არჩევნებზე და ღირსეულს დაუჭერს მხარს. ჩვენ, უნდა დავიცვათ საქართველო, ბრძოლა გრძელდება.

— „ნაციონალები“ კვლავ შავი პიარით ცდილობენ ფონს გასვლას. პრო-დასავლელად მონათლული ვაშაძე ზურაბიშვილს მოღალატეობას აბრალებს.

— მთელი უბედურება იცით რა არის, „ქართულ ოცნებას“ ამაშიც დაასწრეს — გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო. ვაშაძე რუსეთში საგარეო საქმეთა სამინისტროში ატომისა და კოსმოსის განყოფილებაში მუშაობდა, სადაც არავინ მიგიღებდა თუ კაგებეში ჭიპმოჭრილი არ იყავი. კაცი ასეთ თანამდებობაზე იყო და ახლა, თურმე, რუსეთის წინააღმდეგია. ვინმეს დაავიწყდა, რომ ვაშაძემ 2008 წელს ხელის კანკალით დათმო რუსული პასპორტი. თავად ამბობს: რუსეთი ჩემი ნაწილიაო. ასეთი ადამიანის გაპრეზიდენტება, ამაზრზენია. ეს უსირცხვილოები სალომე ზურაბიშვილს სწამებენ ცილს, თურმე, რუსეთიდან შემოგზავნილია და ვაშაძე ყოფილა ევროპიდან შემოსული სინათლის სხივი. ეს კოშმარი, სირცხვილია. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მისულები ვიყავით, რათა სალომე ზურაბიშვილისთვის მხარი დაგვეჭირა, მაგრამ ტელევიზიებმა არ გააშუქეს. თითქმის ყველა ტელევიზია „ნაცებს“ ემსახურება. იგივე ითქმის არასამთავრობო ორგანიზაციებზე — ყველა „ნაცმოძრაობასთანაა“ მიბმული. ისინი იმ თეორიის, ფილოსოფიის გამომხატველნი არიან, რასაც „ნაცმოძრაობა“ ქადაგებს, ეს ერთი მთელი ნაწილია. მინდა ხელისუფლებას ვთხოვო: გაკონტროლდეს მათი დაფინანსების წყაროები და იდეოლოგია. ერთი რამ მინდა ვთქვა: „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს „პიარშიკები“, მრჩევლები. აბა, როგორ შეიძლებოდა წინასაარჩევნოდ კანაფის პლანტაციების თემის წინ წამოწევა. ანდა, როგორ შეიძლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ნარკოლიბერალიზაციის კანონი მიეღო. საზოგადოება გადაირია. ეს თემა „ნაციონალებმა“ სათავისოდ გამოიყენეს, მაშინვე აყვირდნენ: ჩვენ მოვალთ და ხელისუფლებას კანაფის პლანტაციების გაშენების უფლებას არ მივცემთო. ამით მოაგროვა ვაშაძემ ხმები. აქეთ, ტაქსების თეთრად გადაღებვაზე დაიწყეს საუბარი. მოკლედ, მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში „ქართული ოცნება“ საკუთარი თავის წინააღმდეგ მუშაობდა. ყველაფერმა, ჯამში, გამოიწვია ის, რა შედეგიც დადგა.

— რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ, რომ „ნაცებმა“ „ევრონაცებთან“ ერთად, არჩევნებში 800 ათასი ხმა მიიღეს?

— ამას ვერაფრით დავიჯერებ, რომ „ნაციონალებმა“ 800 ათასი ხმა მიიღეს, ეს წარმოუდგენელია. ვფიქრობ, მათ საარჩევნო კომისიებში ისევ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც კარგად იციან შედეგები როგორ გააყალბონ. შეცდომები იყო, მაგრამ ახლა, ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ. ხვალინდელი დღე კი არის ის, რომ იმ ხალხმა, ვინც განვითარებულ, მშვიდ საქართველოზე, თავისი შვილების კარგ მომავალზე ფიქრობს ორ დეკემბერს მხარი საქართველოს, ჩვენი შვილების მომავალს დაუჭიროს. დრო აღარ გვაქვს. „ნაციონალების“ მოსვლა, ჩემი აზრით, საქართველოს დაღუპვა იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

არა ნაცჯალათებს! არა სადისტებს! არა კაცისმკვლელებს!

4 ნოემბერს ვერის ბაღში ნაცმოძრაობის წინააღმდეგ გამართული აქცია, რომელიც სოციალური ქსელით დაიგეგმა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. აქციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანებმა, ასევე, რიგითმა მოქალაქეებმა.

გოგა ხაინდრავა (კინორეჟისორი): არჩევნებზე ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი, იმიტომ, რომ ეს არის დიდი სირცხვილი ქართული საზოგადოებისთვის. მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს 600.000 მოქალაქე ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნებას დაუჭერდა მხარს, ხმას მისცემდა ძალადობას, ცილისწამებას, სიცრუეს, საპატიმროებში არსებულ იმ უბედურებას, რომლის გამეორებაც ძალიან მიჭირს და მრცხვენია. მოსახლეობის ამ ნაწილისთვის ეს თუ მისაღებია, მე არ ვიცი როგორ აპირებენ საკუთარი შვილებისთვის თვალებში ჩახედვას. საბედნიეროდ, ისინი არ წარმოადგენენ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, ქართველი ხალხი ვერასოდეს შეეგუება ძალადობას, სიცრუესა და სიყალბეს, რასაც ძალიან მარტივად დავადასტურებთ უახლოეს დღეებში საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ ძალადობისთვის არასდროს მიგვიმართავს და არც ახლა ვაპირებთ, იქნება ქართველი ხალხის მტკიცე ნების მშვიდობიანი ფორმით გამოხატვა, რათა ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდეს წარსულს. სამწუხაროდ, პირველ ცდაზე ეს არ განხორციელებულა იმ მასშტაბით, რომ ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა. ნაციონალური მოძრაობა არის კრიმინალური სექტა, რომელიც წამლავს საზოგადოებას. ამიტომ ნაციონალები პარლამენტში კი არ უნდა ისხდნენ, მაგალითად, ბოკერია, რომელიც მათი იდეოლოგი და მამოძრავებელი ძალაა, არამედ განსასჯელის სკამზე. ახლა ეს ვაშაძე გამოგვიგზავნეს რუსეთის უშიშროების სამსახურიდან, რიგითმა სააკაშვილმა ნაწილობრივ შეასრულა მათი დავალება, ქართული მიწების მხოლოდ 20% გადასცა რუსებს, ამიტომ ოფიცერი ვაშაძე გამოგვიგზავნეს, ხოლო გენერალი ალასანია მოსკოვში ზის, მაგრამ განწირულია მათი მცდელობები. საქართველოს მიმართულება განსაზღვრულია, ეს არის ევროპა, ცივილიზებული სამყარო, სახლი, რომელსაც განათლებულ ერებთან ერთად საუკუნეების განმავლობაში ვაშენებდით. ნაციონალები ყველაფრის მკადრებლები არიან. გრიგოლეტო ვაშაძემ საპატრიარქოსა და პატრიარქის ნათქვამი „გააყალბა“ და პენსიონერები რომ მოეტყუებინა, ამაში გასაკვირი არაფერია. ეს არის რუსეთის უშიშროების სამსახურიდან გამოგზავნილი სიცრუეზე აგებული ტექნოლოგია. მე ორი თვის წინ ვამბობდი, რომ ნაციონალების ამ კამპანიის იდეოლოგი შკლიაროვი იყო ჩამოსული თავისი ათი დამქაშით და ცდილობდნენ რუსეთიდან მიღებული დავალების შესრულებას. სააკაშვილისა და ვაშაძის ამოცანაა, ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ, რომ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირისკენ სვლა შეჩერდეს, მაგრამ ახლა სხვა დროა. ნაციონალები და მათი „პატრონები“ ასე ვთქვათ, კალენდართან არიან წინააღმდეგობაში, ვერ ხვდებიან რომელი საუკუნეა, სად არის საქართველო და თვითონ სად არიან, ასე რომ, განწირულია მათი მცდელობები. სიმართლე გითხრათ, კარგია არჩევნებზე ეს შედეგი რომ დაიდო, ცივი შხაპი ყველას უხდება.

ზაზა სიამაშვილი (პროფესორი): საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ხალხი დააბნიეს, „ქართულ ოცნებას“ თავისი კანდიდატურა უნდა წარმოედგინა, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება. გარდა ამისა, ხალხი გამწარებულია, გაოგნებულია იმ პროვოკაციით, შანტაჟითა და საბოტაჟით, რასაც მსხვილი ბიზნესმენები ეწევიან, თითქმის ყოველ საათში ვხედავთ, როგორ უფასურდება ლარი და იზრდება ფასები, რასაც მმართველი პარტია არ თუ ვერ აკონტროლებს. პარლამენტში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფლანგი (მათი გვარსახელების დაფიქსირებისგან თავს შევიკავებ) ფაქტობრივად ნაციონალური მოძრაობის რაღაც განაყოფია „ევროპული საქართველოს“ მგავსად. მიუხედავად ამისა, მაინც არ ველოდი, რომ ხალხი ასე მასიურად დაუჭერდა მხარს ამ საზიზღარ ძალას, რასაც ნაცმოძრაობა ჰქვია, თუმცა წაეხმარნენ ხელისუფლებიდანაც. ძალიან გთხოვთ, რასაც ახლა გეტყვით, ეს არ ამოიღოთ, საკუთარი თვალით ვუყურებდი ბათუმსა თუ სხვა ქალაქებში რაც ხდებოდა, ძალიან ბევრი ქალაქის მერმა პირდაპირ მიართვა ეს შედეგი ნაციონალებსა და „ევროპულ საქართველოს“. ამიტომ ნუ გვიკვირს დამდგარი შედეგი, ზუსტად ვიცი, რომ ეს მწარე გაკვეთილი საჭირო იყო ჩვენთვის, დღეს რა მუხტიცაა, კიდევ უფრო გაიზრდება. ალბათ ეს „შეტორტმანება“ პოლიტიკაში საჭიროა, რომ ნაციონალები საბოლოოდ გავისტუმროთ, არამარტო პარტია, არამედ ლამის ოჯახებიანად, იმიტომ, რომ არ გათეთრდება ყორანი.

გიორგი აბდალაძე (ნაციონალების მიერ რეპრესირებული ფოტორეპორტიორი): შეიძლება განაწყენებული ვართ მთავრობაზე და არც მისი საპრეზიდენტო კანდიდატი მოგვწონს, მაგრამ ვალდებული ვართ ნაცჯალათებს დავუპირისპირდეთ, სააკაშვილს ვუთხრათ უარი. მე თუ განაწყენებული ვარ „ქართულ ოცნებაზე“, წელიწადნახევარშია საპარლამენტო არჩევნები და იქ გამოვხატავ ჩემს პოზიციას. საპრეზიდენტო არჩევნები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ვაშაძე აპირებს ყველა ნაცჯალათის შეწყალებას, ბანდა ისევ უნდა შეიკრიბოს და მერე დაიწყებენ ერთიანად შეტევას. სანამ დაქუცმაცებულები არიან, კიდევ არის დრო, რომ ქვეყანაში ყველაფერი დავალაგოთ, თორემ ნაციონალებმა თუ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლებას, ამ ქვეყნის საქმე ერთხელ და სამუდამოდ იქნება დამთავრებული.

ლევან ჩიტაძე (ნაცრეჟიმის მიერ რეპრესირებული უფლებადამცველი): ხალხმა „სათანადო“ ადგილი მიუჩინა ნიანგებს, ვგულისხმობ „ნაცზონდერკამანდას“, რომლებსაც წლების განმავლობაში ვებრძოდით, არაერთი ფაქტი გაგვიხმაურებია როგორ აწამებდნენ და ჩაგრავდნენ ადამიანებს. დღეს ეს „ნიანგები“ ცდილობენ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და დაიკავონ მაღალი თანამდებები. მათ წინა საარჩევნო პერიოდშივე დაიწყეს პოლიტიკური ნიშნითა და კუთხურობით ადამიანების დიკრიმინაცია, რაც არის დაუშვებელი. ესენი თუ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, იგივე განმეორდება, რაც ნაცრეჟიმის დროს ხდებოდა. ფაქტია, ნაციონალებს ყავთ მხარდამჭერები, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ საზოგადოება, რომელმაც თავის დროზე არა უთხრა ნაციონალებს, დღეს დემოკრატიული არჩევნებით ცდილობს ქვეყანაში ტირანია დააბრუნოს. როცა იცი ნაციონალების დაბრუნებას რა შეიძლება მოყვეს, იცი რომ დემოკრატიული ტარდება არჩევნები და ტირანიას აბრუნებ, ეს არის ნონსენსი, რაც საქართველოში თუ მოხდებოდა, არ მეგონა.

ასმათ ჯავახიშვილი (თბილისის 51-ე სკოლის პედაგოგი): ნამდვილად არ ველოდი ნაციონალების ცხრაწლიან რეჟიმგამოვლილ ქვეყანაში არჩევნებზე ასეთ შედეგს თუ მივიღებდით. ხალხმა იმდენი სიბინძურე, სისასტიკე გამოიარა, რომ არ მეგონა სახლში თუ დასხდებოდნენ, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და არ დაუდგებოდნენ ერს გვერდით. ნაციონალებმა რამდენიმე ჩემი ნამოწაფარი დაიჭირეს, ერთ-ერთი იყო შოთა იამანიძე (ცნობილი ფეხბურთელის შოთა იამანიძის შვილიშვილი), რომელიც სიგარეტსაც კი არ ეწეოდა და ვითომ ნარკოტიკი აღმოუჩინეს. ის მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოუშვეს ციხიდან. ჩემი მეგობრის ოჯახს ბიზნესი წაართვეს, 12 წელია ეტლსაა მიჯაჭვული ეს კაცი, მისი შვილი ორჯერ დაიჭირეს, ეს ახალგაზრდა კაცი ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული გამოვიდა ციხიდან. ოჯახს მისი მკურნალობის საშუალება არ ჰქონდა, კვდებოდა, მეგობრებმა წაიყვანეს საფრანგეთში და იქ გადიოდა ხანგრძლივ მკურნალობას. ისე გაპარტახდა ოჯახი, რომ საარსებო წყარო აღარ აქვთ. ამისთანა ათასობით ოჯახია. როგორ შეიძლება თუნდაც ის 300.000 პრობაციონერი, რომელმაც ციხეში ტანჯვა-წამება გამოიარა, არჩევნებზე არ მივიდეს, აღარაფერს ვამბობ მათ ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და ახლობლებზე. ეტყობა ერი ისეთ დეპრესიაშია, რომ განსაზღვრის უნარი წაგვერთვა. ახლა თუ არ გამოფხიზლდებიან, უარესი დაგვემართება, ნაციონალები თუ დაბრუნდნენ, 37 წელი მოგონილი იქნება. ამიტომ მათი დანდობა არ შეიძლება, მათი მხარდაჭერა არის დანაშაული მარტო საკუთარი ოჯახის კი არა, სახელმწიფოს წინაშე.

ლონდა ჯიქია (ტელეჟურნალისტი): გულისამრევი საყურებელი იყო ეს „სამეული“, ღრიღორი (მას სხვა სახელს ვერ ვუწოდებ) ვაშაძე, ნიკა რურუა და მეორე ვაშაძე პატრიარქთან როცა მიდიოდნენ. მათ დანახვამ გამახსენა გიგი უგულავა და სოსო თოფურიძე „ზეობის ხანაში“ როგორ სტუმრობდნენ საპატრიარქოს. როგორც ახლობლებმა მითხრეს, უგულავა ფეხის კვრით აღებდა პატრიარქის ოთახის კარს, თოფურიძე თურმე მეორე სართულზე არ ადიოდა, ქვემოდან აყურადებდა. ვაშაძეებმა და რურუამ ვერ გაბედეს კარის ფეხით შენგრევა, ეტყობა არც გადაუღიათ პატრიარქთან შეხვედრა, გამოსვლისას ვერც კარი ვერ გამოიჯახუნეს, მაგრამ იქვე ჭიშკართან ჩამომდგრებმა გვამცნეს, რომ თურმე პატრიარქმა აკურთხა როგორ უნდა დაანგრიონ ეს „პირსისხლიანი რეჟიმი“. მოკლე ხანში საპატრიარქოს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ პატრიარქს ასეთი რამ საერთოდ არ უთქვამს და პირიქით, სიმშვიდისკენ და ერთმანეთთან კორექტული საუბრისკენ მოუწოდა. ნაციონალები საპატრიარქოს კართან იტყუებიან და ამათგან კარგს რას უნდა მოველოდეთ.

დავით იაკობიძე (ყოფილი ფინანსთა მინისტრი): პირველ ტურის შედეგები არ გამკვირვებია, რადგან ამომრჩეველმა ინერციით მისცა ხმა. იმდენი კანდიდატურა იყო, ისეთი დაულაგებელი იყო საარჩევნო პროცესები, თავიდანვე ჩხუბში იყო გადაზრდილი, რომ ხალხი დაიბნა. ახლა უკვე ყველა დაფიქრდება და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ჩემი აზრით, მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი ხმების 60%-ზე მეტს მიიღებს.

გეგე სულხანიშვილი: მოგეხსენებათ, წარმოშობით თელავიდან ვარ, ძალიან გამიკვირდა და მეწყინა სალომე ზურაბიშვილმა იქ არჩევნები რომ წააგო. ჩვენ, ანუ „ქართულ ოცნებას“ არსად არ უნდა წაგვეგო არჩევნები, მით უმეტეს კახეთში. გეხსომებათ, როგორ დაუდგა გვერდით კახელებს ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია. არ ვიცი, ეს ხალხი როგორ მალე ივიწყებს სიკეთესაც და ცუდსაც. აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ არ დავუშვებთ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნაწყენია „ქართულ ოცნებაზე“, რადგან მათ შეცდომები დაუშვეს. ეს აქცია არის გამაფრთხილებელი, გამოფხიზლდეს ხელისუფლებაც და ხალხიც, მეც ბევრ კარგს ველოდი ხელისუფლებისგან, მაგრამ არ გაკეთდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იმედგაცრუებულმა და გაბრაზებულმა ნაციონალებს მივცე ხმა, არავითარ შემთხვევაში. მირჩევნია ისევ „ქართული ოცნება“ იყოს ხელისუფლებაში, ესენი მოვიყვანო გონზე, რაც შესაძლებელია, ნაცების გონზე მოყვანა კი გამორიცხულია.

ნანული სარაჯიშვილი, მსახიობი: გაოგნებული ვარ, როგორ მიიღო, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობამ“ ამდენი ხმა. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისევ ჩვენი, ხალხის გულარხეინობაა. ამიტომაც მივიღეთ ის შედეგი, რაც გვაქვს. საერთოდაც, როგორ შეიძლება ქვეყნის სათავეში მობრუნდნენ საკუთარი ხალხის მკვლელები, გამაუპატიურებლები. იმედია, მოსახლეობა გაითვალისწინებს ყოველივეს და არჩევნების მეორე ტურში გააქტიურდება.

გიორგი ოთხმეზური, ისტორიკოსი: არაფრით არ შეიძლება ჯალათი, სადისტი ხალხის ხელისუფლებაში ხელახლა მოსვლა. დღევანდელ ხელისუფლებაზე ხალხი განაწყენებულია არა უსაფუძვლოდ. ამიტომაც ბევრი არ მივიდა არჩევნებზე. დარწმუნებული ვარ, ისინი, ვინც არ მივიდნენ, გააანალიზებენ, დაინახავენ, რა საფრთხე ელოდება ქვეყანას ნაცების სათავეში მოსვლით, მაქსიმალურად გააქტიურდებიან, მივლენ მეორე ტურში არჩევნებზე და არ მოუშვებენ პირსისხლიან მიშას და კაგებეშინკ ვაშაძეს.

მანანა უგულავა, საქართველოს მენეჯერთა სკოლის დამფუძნებელი: დარწმუნებული ვარ, საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს. პირველ ტურში საზოგადოება პასიური იყო. ამჯერად მოსახლეობა გააქტიურდება, ბევრი წავა ხმის მისაცემად. სწორედ ეს იქნება ქვეყნის სიყვარული აირჩიო და სათავეში მოიყვანო ღირსეული პიროვნება. მართლაც ძალიან კარგი ქვეყანა გვაქვს, რომელსაც გაფრთხილებ, უფრო მეტი სიყვარული სჭირდება. ვხედავთ, ახლა განვითარების გზაზე დგას და ხელის შეშლა არ შეიძლება, ამის უფლება არავის აქვს.

გია სულავა, თბილისის მკვიდრი: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სისხლის მსმელების და სისხლის მღვრელების სათავეში მოსვლა! ნაცების რეჟიმის დროს მაიძულეს, ქვეყნიდან წავსულიყავი, თავი გადამერჩინა. მხოლოდ მე არ ვიყავი ასეთ მდგომარეობაში, ჩემს დღეში ათასობით ადამიანი იყო. 2012 წლის არჩევნების შემდეგ დავბრუნდი ასამშობლოში, მაგრამ ახლაც უყურადღებოდ ვარ. არჩევნებზე პასიურობით ხალხმა უპასუხა ხელისუფლებას მათდამი გულგრილობაზე. მართალია, დღევანდელი ხელისუფლებით ბევრი უკმაყოფილო და გაბრაზებულია, მაგრამ ახლა გაბუტვის დრო არ არის, ყველანაირი შანსი უნდა გამოვიყენოთ და სასიკეთოდ შევცვალოთ ვითარება საქართველოში. რაც მთავარია, არ დავუშვათ ნაცების რევანიმაცია.

მანანა სალუქვაძე, ფინანსური მენეჯერი: დღევანდელმა ხელისუფლებამ უამრავი შეცდომა დაუშვა სათავეში მოსვლისთანავე. ერთ-ერთი მთავარი კოჰაბიტაცია იყო. იმასაც გეტყვით, რომ ბევრი უგუნური აღმოჩნდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ჭკვიანი, პროფესიონალი ხალხი გვერდზე არ დაიყენეს. ახლა უხდებათ შეცდომების გამოსწორება. მთავარია, ნაცების მოცილება, რის შემდეგაც უნდა დავიწყოთ ქვეყნის განვითარებაზე ფიქრი.

გრიგოლ გაგნიძე: ადვოკატი: მეორე ტური მოსალოდნელი იყო. საარჩევნო კამპანია „ქართულმა ოცნებამ“ გვიან დაიწყო, ნაკლებად აქტიურობდნენ. ამასთან, ხელისუფლებამ კომუნიკაცია დაკარგა ხალხთან. არჩევნებზე პასიურობით ამომრჩევლის მხრიდან ერთგვარი გაფრთხილება იყო მმართველი ძალისთვის. თუ საზოგადოებას ყურადღებით არ მოეკიდებიან, ადვილი შესაძლებელია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდნენ კიდეც. აუცილებლად უნდა გააქტიურდნენ მთავრობის, პარლამენტის წევრები, გავიდნენ ხალხში. მოსახლეობასთან კომუნიკაცია საკრებულოს წევრებისთვისაც არის სავალდებულო. ნაცრეჟიმთან შედარებით ახლა დამოკრეტიის ხარისხი ამაღლდა, მაგრამ საკმარისი არ არის ხალხისთვის. მათი აზრი უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. მეორე ტურში დარწმუნებული ვარ სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაში.

ლექსო ბაშარული, მოქალაქე: ნაცები მიშას ხელმძღვანელობით ქვეყნის სათავეში ცხრა წელი იყვნენ და რაც გააკეთეს, ვნახეთ. ხელისუფლებაში მათი ხელახლა მოსვლა როგორ შეიძლება. ახლა ხალხმა უნდა გამოიჩიჩქნოს ყურები, არ უნდა იზარმაცონ და მივიდნენ არჩევნებზე. პასიურობით ქალბატონმა სალომემ უამრავი ხმა დაკარგა. ახლა მსგავსი აღარ უნდა დავუშვათ და ვიაქტიუროთ.

დათო ფაცაცია, პოლიტიკოსი: საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოსახლეობის პასიურობის გამო გახდა საჭირო. მართალია, ბევრი გახმაურებელი საქმე გამოუძიებელია, სამართლიანობა სრულიად არ აღმდგარა, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება უკან, ბნელეთში დაბრუნება. მჯერა, მეორე ტურში ქალბატონი სალომე გაიმარჯვებს. არაფრით არ უნდა დავუშვათ საქართველოში ფაშიზმის მობრუნება.

მანანა სუხიშვილი,
გია ბურდული

®

ვინ დაგეგმა ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N39)

საქმეზე დაკითხული არაერთი მოწმის ჩვენებით და მოპოვებული წერილობითი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მკვლელობის მოსამზადებლად მუდმივად კონტროლდებოდა ბადრი პატარკაციშვილის გადაადგილების მარშრუტი, მათ შორის აეროპორტის ის გასასვლელები, რომლითაც იგი სარგებლობდა.ამასთან, გარდა იმისა, რომ რ.შ. სისტემატურად აგროვებდა დაცვის წევრების შესახებ მონაცემებს, ასევე, კუდ-ის თანამშრომლები, მათ მიერვე დაკავებულ პატარკაციშვილის დაცვის რამდენიმე წევრს, მკვლელობის მომზადებისთვის საჭირო პირობების შექმნის სანაცვლოდ, მათ მიმართ დაწყებული დევნის ნაწილში სხვადასხვა სა-



ხის შეღავათებს სთავაზობდნენ. „ამ ეტაპზე საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა მხილების მიზნით“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. ანუ რა გამოდის „გაბაზრებული“დანაშაულის მომზადება დაუწყია „კუდს“ და „დაუგვირგვინებია „სოდს“. რომელი დანაყოფიც უფრო ცივსისხლიანი მკვლელებით იყო დაკომპლექტებული საზოგადოებამ გადაწყვიტოს, მაგრამ შსს ში მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავი, რომ იყო ფაქტია. ქუჩაში ჩახოცილი უდანაშაულო ბიჭების გარდა აფრასიძეების ოჯახის განადგურება, ვითომ ამბოხის გამო გია კრიალაშვილის დახვრეტა და უამრავი სისხლიანი ოპერაცია რომელშიც არამარტო შსს, ნაცლიდერებიც მონაწილეობდნენ და სისხლში ბანაობდნენ. ხოლო „სოდის შეფის- ტურფა“ნანული ჟორჟოლიანი მყისვე „მოვლენების ცენტრში“ ჩნდებოდა და მდედრი ვამპირი სიამოვნებით ტკვარცალებდა კამერების წინ. სწორედ თათბირზე დაავალა მერაბიშვილმა კოდუას პარლამენტის წევრ გელაშვილს ფიზიკურად გასწორებოდა და „ჭკუა ესწავლებია“დავალება ვანოს მიშამ მისცა... უტიფარმა მკვლელმა, გარეწარმა, „ბულავკა“ ირაკლი კოდუამ რამოდენიმე წლის წინ „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილმა მას გოგა ხაინდრავას მკვლელობა დაუკვეთა. თავის „სიბინძურის“ სხვაზე გადაბრალება ნაცხროვის სავიზიტო ბარათი იყო და დარჩა. რასაკვირველია აღნიშნულმა განცხადებამ საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა, გარდაცვლილი ბიზნესმენის დედამ განაცხადა- „შოკში ვარ, მაგრამ ლაურა ღაჭავა უნდა იყოს შოკში, მაგან რომ ეგეთი შვილი გაზარდა...“სოდ-ის ყოფილი უფროსის, ირაკლი კოდუას დედა ნათელა პატარკაციშვილის განცხადებას გამოეხმაურა. რადგან, მაშინ ძალიან დააიმედეს, რომ მის ბინძურ შვილს „გაათეთრებდნენ“- „მე არ ვარ შოკში და ცუდი შვილი არ გამიზრდია. ყველამ თავის თავში ჩაიხედოს, რა. ღმერთო, ნათელში ამყოფე პატარკაციშვილი, მე რაც არ მეხება, იმის უფლება არ მაქვს, ყველამ მისი წარსული და ჩვენი წარსული გაიხსენოს, სხვას არაფერს ვიტყვი. დასაძრახი არაფერი მაქვს. ყველამ იცოდეს, ჩემმა შვილმა სამშობლო დაიცვა ტერორისგან, ბადრი პატარკაციშვილი საიდან მოდის და რა ფულით, ამაზე შიძლება ხალხი არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველამ ყველაფერი იცის. მე ცუდი შვილი არ გამიზრდია, ყველამ თავის თავში ჩაიხედოს, არ შეიძლება ასე ლაპარაკი,“ — აღნიშნა ლაურამ. არადა ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ჯერ-ნორფინების გაყიდვით, შემდეგ გასანადგურებელი ჰეროინით, მამაშობით, ბორდელებით გამდიდრდა. ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელი, ყველა სიბინძურეზე ხელის მომწერი ღაჭავა, რომ ვინმეს წარსულს შეახსენებს მინიმუმ უხერხულია. სხვათაშორის სანდო წყაროს ცნობით სანამ „ბულავკა“კოდუა მკვლელობის საქმეში ჩაერთვებოდა „ვერხუშკასთან“დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და მართლაც აპირებდა განდგომას. თუმცა მან, ვინც „კრიშავდა“სულზე მიუსწრო და საქმე ისე „გამოუიმასქნა“, რომ „ვირთხების გმირადაც“აქცია რასაკვირველია მოპოვებული ინფორმაციებიც „ჩაახუტეს“ის ვინც ლონდონში ოფიციალურად ახლდა (დავით ჟვანია) კაიფში საეჭვოდ გაიპარა, მაგრამ არაოფიციალურად ნანუკიეც ახლდა და ჯერ ცოცხალია ვინ იცის როდის რა შემოაკლდება და „როდის ამეიღებს ხმას“...

ოთხი წლის წინ გაზეთში, რომელიც მაშინ „ოპოზიციურად“ მოინათლა და ეხლა სააკაშვილს თავის „ბანდასთან“ერთად ხოტბას ასხავს,(მათ შორის კოდუა ღაჭავასაც)იმერეთის ყოფილი გუბერნატორის თეიმურაზ შაშიაშვილის არაერთი საინტერესო ინტერვიუ დაიბეჭდა –გთავაზობთ ამონარიდს: „მე ახლა ორ ფაქტს გეტყვით და მეტის თქმა არ შემიძლია. პირველი: ონიანს მე იმერეთში არ ვუშვებდი, მასაც ყოველთვის ეშინოდა ამ მხარეში ჩამოსვლა. ონიანზე ყოველთვის ვამბობდი ერთ რამეს. როდესაც გაეროს დამკვირვებლები გაიტაცეს, მასში მონაწილეობდა ონიანი, ხოლო „მოქკავშირის“ ხელმძღვანელი იყო სააკაშვილი. მხოლოდ მე ვიყავი ერთადერთი პიროვნება, რომელიც ვამბობდი მაშინ, რომ კანონიერ ქურდს, ონიანს კავშირი ჰქონდა ამ გატაცებასთან. მეტიც, როცა ონიანმა გაეროს დამკვირვებლები გაათავისუფლა, „ვეჩეს“ ტელეფონზე დაურეკა შევარდნაძეს და სხვა პოლიტიკოსებსაც ესაუბრა, მოახსენა ეს ფაქტი, მომდევნო დღეს, სააკაშვილმა განაცხადა ამაყად, გაეროს წარმომადგენლები თავისუფლები არიანო! იქნებოდნენ, აბა რა?! გამტაცებელიც ონიანი იყო და გამანთავისუფლებელიც,.. ახლა რაც შეეხება ონიანის თემას: როდესაც მე ასეთი განცხადებები მაქვს გაკეთებული, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ორი პიროვნება ჩამოდის საქართველოში — ერთ დღეს ბერეზოვსკი, მეორე დღეს ონიანი. თქვენ როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის გარეშე მოხდებოდა „ვარდების რევოლუციიდან“ სამ დღეში ონიანისა და ბერეზოვსკის ჩამოსვლა?!... პატარკაციშვილმა კარგად იცოდა ონიანისადმი ჩემი მძიმე დამოკიდებულება. არა მარტო ონიანისადმი, მთელი ქურდული სამყაროსადმი, –მოგვიანებით ბადრის ვკითხე- როგორ ჩამოიყვანეთ ურეკში, როცა მე არ ვატარებდი ონიანს-მეთქი?! არადა მაშინ პოლიციამაც მიმუხთლა, ქუთაისში, ჭომაში დარჩენის საშუალება მისცეს და მერე უკვე კოდორის ხეობაში კვიციანი მიაცილებდა, დეპუტატი ვარ და ჩემი სტუმარიაო, ეს ყველაფერი მერე გავიგე, როცა ქუთაისი დატოვა და პატარკაციშვილამდე ჩავიდა ურეკში. მაშინ ასე ამიხსნა ბადრიმ — რომ მითხრეს, მოვიდაო, არ ვიცნობდი და მივიღეო. კონკრეტულ თემაზე, მოუწიათ შეხვედრა, რაზეც მე არ მინდა საუბარი...“კარგად მახსოვს ონიანის აღნიშნული „სტუმრობა“ქუთაისში. ჭომაში ქურდებთან ერთად მთელი ღამე ქეიფობდნენ და შემდეგ დიდხანს იცლებოდა ავტომატის მჭიდები. პოლიცია კი უძლური იყო. რადგან პირადად მიხეილი დახვდა მას თბილისის აეროპორტში და „რეფორმატორების მამამ“ ბოლომდე „გაუმწვანა“გუბერნატორის და პოლიციელების ნერვებზე თამაში. ონიანი, ურეკშიც სწორედ მიხეილის დავალებით წავიდა...

მართალია სააკაშვილმა „გამოყენებული“კრიმინალების დიდ ნაწილს „უგანა“, მაგრამ მანამდე ბევრი ბინძური საქმე აკეთა მათი ხელით“...

ის, რომ პატარკაციშვილის ლიკვიდაციის საქმეში ბერეზოვსკიც ურევია ფაქტია, სააკაშვილთან მისი ტკბილი და მურაბა ურთიერთობა მალე გამოაშკარავდა და შემდეგ „ძმურად“იყოფდნენ პატარკაციშვილის ქვრივის ქონებას. მართალია ბადრის სიცოცხლეშივე დაიწყო მიხეილმა მისი აქტივების შევიწროვება და ჩუმად თუ აშკარად შეხრამუნება, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდგომ ფრთები გაშალა. აღარც ბერეზოვსკია ცოცხალი, დანაშაულს ვინ ამზადებდა პროკურატურამ გამოააშკარავა, დამკვეთი ცნობილია, რომ მიშაა, მაგრამ „მავანი“მიცემს საშუალებას, რომ შემსრულებლებამდე მივიდეს?რაღაც არ მგონია. თან როგორც მახსოვს მკვდრები არ ლაპარაკობენ, იქნებ, გასული საუკუნის დასაწყისში კრემლის სარდაფში მდებარე ლაბორატორიაში მიღებული შხამი რომელიც კვალს არ ტოვებს და დღეს ბევრად გაუმჯობესებული სახითაა წარმოდგენილი დააგემოვნებიონ ცოცხლად დარჩენილ ამსრულებელს?

ჰო, მკვდრები არ ლაპარაკობენ, მაგრამ ნაცხროვის ნაწილს ძალიან უჭირს ამდენი ცოდვების ზიდვა, შიშით ცხოვრება...“შიფერდაცურებული“ ლიდერების ნაწილი კი ურცხვად ცდილობს საზოგადოებასთან სისხლიან წარსულზე თავი იმართლონ და ვირთხებივით ყველა გზა მოსინჯონ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. მკვლელთა ბრიგადების დაამაარსებელმა სააკაშვილმა წესიერი ადამიანებიც იძულებით ქილერებად აქცია. ამისთანა ბოროტი მტერი არ ახსოვს საქართველოს ისტორიას...

არავინ იცის იქნება თუ არა ბადრი პატარკაციშვილის საქმე „კინორეჟისორ“ ნიკა გვარამიას და მისი „ძმების“ სასაფლაო, არავინ იცის როგორ მოხერხდება სააკაშვილისათვის ბრალის წაყენება, არავინ იცის პროკურატურა გამოარკვევს თუ არა გიორგი თარგამაძის როლს, რაღაც ეტაპზე, რაღაც კუთხით, მაგრამ ფაქტია — პატარკაციშვილი მოკლულია, ის, რაც ისედაც ვიცოდით, ამ ეტაპზე დადასტურებულია!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ნიკა ლალიაშვილი:
სასწორის ერთ მხარეს დევს ჯოჯოხეთის ბნელი ძალა, აი, აქ არის ახლა არჩევანი გასაკეთებელი...

ანალიტიკოსი ნიკა ლალიაშვილი: რა თქმა უნდა, ხალხს არ მონატრებია ის ჯოჯოხეთი, რაც ყველამ გაიარა 9 წლის განმავლობაში.

ეს, ჩემი აზრით, იყო სერიოზული, ცივ შხაპებზე მეტი ხელისუფლებისთვის, მაგრამ ხდება ის, რომ ბევრად უფრო მკაფიო გახდა მტრის სახე, გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის სახე მთელი თავისი სიმკვეთრით. ხალხმა დაინახა, რომ მიშა სააკაშვილი, ანუ 9-წლიანი ჯოჯოხეთი მოახლოებულია. არჩევნებზე მივიდა საქართველოს ამომრჩევლის ნახევარზე კიდევ უფრო ნაკლები, გულაცრუებული ხალხი, მთელი რიგი მიზეზების გამო. ზოგს არ უნდოდა სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემა, იმიტომ, რომ ზურაბიშვილი ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობს და ა. შ. ათასი პრეტენზია იყო.

სიცრუის მანქანამ და უპრეცედენტოდ ბინძურმა კამპანიამ გამოხატა ყველა ამომრჩევლის გულის გასაღები.

სტიგმა, რომელიც სალომე ზურაბიშვილს „რუსთავი-2"-მა მიაკერა, იმუშავა ბოლომდე ძალიან სერიოზულად.

რა გააკეთა ამ სტიგმამ? — „ქართული ოცნების" ამომრჩეველში მოახდინა გულაცრუება. „ქართული ოცნების" ამომრჩევლის დიდი ნაწილი არ მივიდა არჩევნებზე, მეორე ნაწილი შეიძლება მივიდა და თქვა: ახია მაგათზეო და არ მისცა ხმა სალომე ზურაბიშვილს.

ახლა დგას სიტუაცია, როცა მეორე ტურში იგივე ადამიანებს მოუწევთ მისვლა, სადაც უკვე ცალსახად იქეთ იქნება მიშას კანდიდატი, აქეთ იქნება სალომე ზურაბიშვილი, იქეთ იდება ჯოჯოხეთი, აქეთ იდება არა სამოთხე, მაგრამ ჯოჯოხეთი ნამდვილად არა.

ის, რომ დღეს საქართველოში დემოკრატიაა, ეს არის ფაქტი. ვეღარავინ ვეღარ იტყვის, რომ სადმე რამე ყალბდება.

შეიძლება იდეალურად არაა ყველაფერი, კოპენჰაგენივით არ არის თბილისი, მაგრამ დემოკრატია, რეალურად, არის. თქვენ გახსოვთ, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც მეორე ტური ნამდვილად იყო, მაგრამ ვინ ლაპარაკობდა მაშინ საერთოდ მეორე ტურზე. რაც მოჰყვა ყველაფერ ამას, კარგად მოგეხსენებათ. დღეს ქვეყანაში არის დემოკრატია. ამას წყალი არ გაუვა. ახლა არჩევანი არის ხალხზე.

მე ვფიქრობ, რომ ახლა არის ის სიტუაცია, როცა დავინახეთ უკვე, რისი გამკეთებელიც არის „ქართული ოცნება". ყველაფერი გააკეთეს მაქსიმალურად და მთელი კამპანია მოუწიათ თავის მართლება იმ სიბინძურესთან, რაც მოდიოდა „რუსთავი-2"-ის, უფრო სწორად, მიშა სააკაშვილის მხრიდან, ხოლო გვერდზე დარჩა პოზიტიური დღის წესრიგი. ამ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ, უკვე, ხალხი აღარ უნდა დაელოდოს იმას, თუ რას გადაწყვეტს „ქართული ოცნება", პარტიულად როგორ მოხდება რაღაცები და ა. შ. ახლა ის პერიოდია, როცა მტერი არის მოსული. კარზეა მომდგარი და ახლა ჩვენ თვითონ უნდა მოვიგოთ. თუ არ გვინდა, რომ ექვსი წელი ვუყუროთ „ნაციონალურ მოძრაობას". მინიმუმ, ექვსი წელი, თორემ არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ვერ გაიმარჯვა სალომე ზურაბიშვილმა. ახლა ხალხმა, როგორც ადრე გვარდია როგორც იყო, ადგილებზე, უბნებზე, რაიონებში, მეზობლები, ყველა უნდა გაერთიანდეს, ყველას უნდა დაველაპარაკოთ. ყველასთან უნდა განვმარტოთ ყველაფერი.

მესმის,. რომ სალომე ზურაბიშვილი არ მოგწონთ, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს დევს ჯოჯოხეთის ბნელი ძალები. აი, ამათ შორის არის ახლა არჩევანი გასაკეთებელი.

მე მინდა ცოტა გავიწიოთ შორს და დავინახოთ უფრო დიდი სურათი. იქით მხარეს ვაშაძე და აქეთ მხარეს სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ არ არის მთლად ასე. არც მიშაა იქეთ მხარეს და აქეთ მხარეს ბიძინა, აქ ლაპარაკია ჯოჯოხეთზე, რომელიც ჩვენ უკვე გავიარეთ და, იცოდეთ, ის მობრუნდება კიდევ უფრო მწვავე ფორმებით, რადგან არავის არ აპატიებს „ნაციონალური მოძრაობა" 2012 წლის დამარცხებას, რევანში მოდის და მეორე მხარეს, არის ლაპარაკი, ავად თუ კარგად არსებულ სიტუაციაზე, რომლის არანაირი დიდი იმედი არ მაქვს, რომ რაღაც საოცარი გარღვევა მოხდება, ვთქვათ, ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო გადაიქცევა სინგაპურად, ან გაუხდება პარიზი, რა თქმა უნდა, ეს ორ დღეში ან სამ დღეში არ მოხდება, მაგრამ ის, რაც ახლა არის, ბევრად რომ ჯობია იმას, რაც იყო და რაც შეიძლება კიდევ მოხდეს, თუ არ მივცემთ ხმას სალომე ზურაბიშვილს, ფაქტია.

კიდევ ვიმეორებ: ნახევარზე ნაკლები მივიდა საარჩევნო ყუთებთან, კი, ნამდვილად გამოუშვეს ორთქლი, უთხრეს თავისი სათქმელი „ქართულ ოცნებას", სილაც გააწნეს, ძალიან გემრიელი, მაგრამ ეს იყო მეგობრული სილა, მაგრამ მტერი სულ სხვა არის, მტერმა მიიღო სულ სხვა სახე, ყველა ერთად დაკრისტალდა და დავინახეთ — ყველა შემოიკრიბა მიშა სააკაშვილის გარშემო, ანუ აქამდე თუ კიდევ რაღაცა ილუზიები იყო იმის შესახებ, რომ ეს ცოტა უფრო სხვა ძალაა, დასავლური ძალაა, უფრო დემოკრატიული, ამბობენ, მიუხედავად ფუნდამენტური განსხვავებებისა, ჩვენ სხვა მხარეს ვართ, მაგრამ რაშია მაშინ განსხვავება, რაზე ლაპარაკობენ, გლობალურ დათბობაზე ვერ თანხმდებიან თუ იმაზე, აბორტი ლეგალური უნდა იყოს თუ არა, რა ფუნდამენტურ განსხვავებებზეა ლაპარაკი?! არავითარი განსხვავება არ არის! ეს არის ტიპოლოგიურად ერთი და იგივე ძალა და ამ ძალის სახელია 9-წლიანი ჯოჯოხეთი.

ახლა ჩვენ უნდა დავკრისტალდეთ. ყველა, ვინც, შეიძლება, განაწყენებულები ვართ „ოცნებაზე", ვინც ვფიქრობთ, რომ ნეტა, ასე ყოფილიყო, ჩვენი კანდიდატი დაგვეყენებინა, სალომე არ მოგვწონს, იმიტომ რომ, რაღაც ცუდი აქცენტი აქვს, ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობს, ან მისი შეხედულებები ომთან დაკავშირებით, თავში ჩაგვეჭედეს, რომ არაპატრიოტულად ჟღერს, ან ისინი, ვისაც ძალიან მოგვწონს კვირიკაშვილი და ვერ ვიგებთ, რატომ შეიცვალა ეს კაცი, მაგრამ ახლა აქეთ უნდა მოხდეს დაკრისტალება...

დაკრისტალება „ოცნების" გარშემო კი არ უნდა მოხდეს, გადარჩენის გარშემო, ეგზისტენციალური რამის გარშემო უნდა მოხდეს — ჩვენ ან გავაგრძელებთ არსებობას, ან ჩავინთქმებით ჯოჯოხეთში,. აი, ეს არის განსხვავება.

თითო „ქეისში" რომ შევიდეთ და დავიწყოთ იმის განხილვა, რა არის განსხვავება იმასთან შედარებით, რასაც აბრალებენ „ქართულ ოცნებას", მაგალითად, პარალელი ხორავას ქუჩის ტრაგედიასა და გირგვლიანის საქმეს შორის, მაჩალიკაშვილისა და ლაფანყურის ოპერაციას შორის, არ შევდივარ კონკრეტულ მსჯელობებში; ასეც რომ იყოს, ხომ ყველა ხედავს, „ოცნების" სააკაშვილის რეჟიმთან შედარებით, არის ვეგეტარიანული რეჟიმი. ამაში არ მეთანხმებით?

იმაზე თუ ვთანხმდებით, რომ სააკაშვილი ბოროტებაა, „ქართული ოცნება", შეიძლება, არ მოგვწონდეს, მაგრამ სააკაშვილზე ბევრად ნაკლები ბოროტებაა. შეიძლება სიკეთის იდეალი არ არის, მაგრამ დღეს არჩევანია დაღუპვასა და გადარჩენას შორის. ის დაღუპვაა, იქედან უკან მოსაბრუნებელი გზა აღარ არსებობს. ეს არის გზა, საიდანაც კიდევ ერთი შანსი ეძლევა „ოცნებას".

დარწმუნებული ვარ, მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს იმ მიზეზების გამო, რაზეც მე ზემოთ გელაპარაკეთ, მაგრამ კიდევ რჩება ორი წელი, ორი წელი იმისთვის, რომ 2020 წლისთვის უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც ივანიშვილი გვპირდება, ერთ წელიწადში თვითონ მენეჯმენტში იქნება ცვლილებები, ალბათ, დაჩქარდება კიდევაც პროცესები ამ მოვლენების გათვალისწინებით, იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები და ეს ცვლილებები თუ მენეჯმენტი შეიცვლება და უფრო ეფექტური გახდება, ალბათ, შეეხება საზოგადოების ყველა წევრსაც.

ჩვენ ვაიძულებთ „ქართულ ოცნებას", რომ ცვლილებები გახდეს უფრო სწრაფი და უფრო ხალხოსნური, ანუ უფრო პოპულისტური, რასაც აქამდე „ოცნება" არასოდეს არ აკეთებდა — ის მიდიოდა ნელი ნაბიჯებით. გაუმჯობესება ხდებოდა ყველა პარამეტრში, ამაზე არ ბაქიბუქობდნენ და არ აწყობდნენ საოცარ პიარებს, მეტიც, პოზიტიური პიარი თითქმის არც ჰქონდათ. მართალი იყო ივანიშვილი, „რუსთავი-2"-ს თუ გამორთავ, დაინახავ რეალობას, თურმე ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ჩვენ გვგონია, ამაში ვეთანხმები ბატონ ბიძინას.

პირველ ტურში გავაკეთეთ ჩვენი გასაკეთებელი, გავულაწუნეთ „ოცნებას". ხომ არ შეიძლება ნაბან წყალს ბავშვი გადააყოლოთ, მორჩა! გაიგო გამგებმა ყველაფერი. გაიგო, რომ, ხალხი არის მთავარი და ხალხი არის ძალაუფლების წყარო, ხალხის ნება არის ყველაზე მთავარი და ხალხის ნდობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დადარწმუნებული ვარ, მეორე ტურში ხალხის ის ნაწილი, ვინც არ მივიდა არჩევნებზე, მივა და გააკეთებს ეგზისტენციალურ არჩევანს და ამის შემდეგ დადგება დრო უსწრაფესი ცვლილებების. მანამდე, მეორე ტურამდე, ჩვენ არ უნდა დაველოდოთ, რას იზამს „ქართული ოცნების" რომელიმე რაიონული ორგანიზაცია, თვითონ ხალხი უნდა მივიდეს და სწორი არჩევანი გააკეთოს.

ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც ამბობდა და ამბობს, „ნაცები" რომ დაბრუნდნენ, თოფს ავიღებ ხელში. არ არის საჭირო თოფის აღება, ნაცები ბრუნდებიან მართლა, მაგრამ თოფი კი არ უნდა ამას, ამას სჭირდება პირდაპირი აგიტაცია ყველა უბანზე, სოფელში, ქალაქში, მეზობლებში, როგორც პავლე მოციქული ამბობდა: ყველა ერდოდან უნდა ვიქადაგოთ იმისთვის, რომ არ მობრუნდეს ჯოჯოხეთი ამ ქვეყანაში.

TV პირველი

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● ქალაქ თეთრიწყაროსა და დაბა მანგლისში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ახალი ცენტრები აშენდება. ახალი პუნქტების მშენებლობა გააუმჯობესებს ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ცენტრს დაშორებული სოფლების მოსახლეობისთვის. შენობები აშენდება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აღიჭურვება სამედიცინო, კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ინვენტარით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის სავალდებულო ექსპერტიზა, სამშენებლო სამუშაოები გაისად დაიწყება.

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ერთობლივად ახორციელებენ.

● წყალმომარაგების მასშტაბური პროექტი – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა დაიწყო პროექტზე, რომელიც გააუმჯობესებს სოფლების – წინწყაროს, გოლთეთის, დიდი დურნუკის, პატარა დურნუკის, ქოსალარის და ქოთიშის მოსახლეობის წყალმომარაგებას.

წინასაპროექტო კვლევა მოიცავს მდინარე ხრამის ხეობაში ე.წ. „ყარასოს წყლის“ დებეტის განსაზღვრას და სატუმბი სადგურის მოსაწყობად ადგილმდებარეობის შერჩევას.

ჩამოთვლი სოფლებს, აგრეთვე სოფ. ფარცხისს და მაწევანს სასმელი წყალი ამჟამად მიეწოდება ე.წ. „ქსოვრეთის სათავეებიდან“ (14 კმ მანძილიდან). წყლის დებეტის სიმცირის გამო აღნიშნული დასახლებები სასმელი წყლით სრულყოფილად ვერ მარაგდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ უკვე არსებულ ქსელზე დარჩება სოფლები: ფარცხისი, მაწევანი და დაერთდება საღრაშენი, ხოლო ახალ სისტემაზე გადავა შემდეგი სოფლები: წინწყარო, გოლთეთი, დიდი დურნუკი, პატარა დურნუკი, ქოსალარი და ქოთიში. შედეგად, გაიზრდება ხარისხიან სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესდება სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგება. პროექტის შედეგად, გაუმჯობესებული წყალმომარაგებით 3500-ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს.

● მუნიციპალიტეტის მერია ზრუნავს სოფლების – ჯორჯიაშვილისა და ბოგვის წყალმომარაგების გაუმჯობესებაზეც, რაც გულისხმობს მდინარე ალგეთის რესურსის გამოყენებით მოსახლეობისთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფას.

წინასაპროექტო სამუშაოები დასრულებულია, განსაზღვრულია წყლის დებეტი, შერჩეულია სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა. შემდგომ ეტაპზე დაიწყება სათავე და საფილტრი ნაგებობების, გამანაწილებელი რეზერვუარის, ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელის მოწყობის პროექტირება.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად. სამუშაო პროცესს ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობაც.

● გაისად ქ. თეთრიწყაროს კიდევ ერთი ახალი და მნიშვნელოვანი ობიექტი შეემატება. მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, თამარ მეფის ქ. №38-ში მდებარე ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობაში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მოსაწყობად პროექტი მზადდება.

რეაბილიტაციის შემდეგ აქ განთავსდება ტურისტული მომსახურების ცენტრი, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები, კაფე, საოფისე და კომერციული ფართები, სარიტუალო დარბაზი და სხვადასხვა საჭიროების ადმინისტრაციული სერვისები.

მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირება, რომლის ძირითადი დანიშნულება იქნება საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტების სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზებული ტურების დაგეგმვას, ტურისტების რაოდენობის ზრდას და თეთრიწყაროს, როგორც ტურისტულად საინტერესო და მიმზიდველი ადგილის პოპულარიზაციას.

● სოფელ ქოსალარში მისასვლელი 5,8-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მოასფალტების შემდეგ უსაფრთხო და კომფორტული გზით 600-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს.

პროექტი ორწლიანია, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო 2018 წლის 5 ივლისს და დასრულება 2019 წლის 2 იანვარს. სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 1609 165 ლარს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში რეაბილიტირებულია: მინისტადიონი (33 ათასი ლარი), სასაფლაოსკენ მიმავალი გზა (სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა) და ე.წ. „ჩაჩაანის“ უბნის გზის ბოლო ნაწილი. აღნიშნულ გზაზე მოეწყო სანიაღვრე არხი და მოასფალტდა 966 მეტრი სიგრძის გზა, რისთვისაც ჯამში 339 583 ლარი დაიხარჯა.

● ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სოფლებშიც:

სოფელ გურჯაანში, ე.წ სკოლის გზის რეაბილიტაციას 246 200 ლარი მოხმარდება; სოფელ ძირკოკში მოასფალტდება ე.წ. თუშების, ე.წ. ჭიაპაანთ უბნები და ელიკაანთ უბნის შესასვლელი (პროექტის ღირებულება 226 000 ლარია); სოფელ კაჭრეთში ახალი ჭაბურღილისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა უკვე დაწყებულია. სამუშაოებზე 145 300 ლარი დაიხარჯება. შედეგად, თთქმის ნახევარ სოფელს, მათ შორის საერთო საცხოვრებლებს, გაუუმჯობესდება წყალმომარაგება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა საუკეთესო კუთხე წარმოაჩინა ახლად დაფუძნებულ „ჭაჭის ფესტივალზე“, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება.

ფესტივლის მიზანი იყო ქართული ნატურალური პროდუქტის, ყურძნის ბრენდის – „ჭაჭის“ პოპულარიზაცია, მისი ისტორიისა და სასარგებლო თვისებების გაცნობა. კახეთის სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულმა ფერმერებმა, გლეხებმა ჭაჭა ადგილზევე გამოხადეს. მონაწილეები გაეცნენ აგრეთვე რეგიონის ფოლკლორსა და ტრადიციებს.

ფესტივალი გაიმართა საქართველოს კულტურის პალატის ინიციატივით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● სოფლებში ჭიაურსა და ვარდისუბანში მიმდინარეობს სასაფლაომდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჭიაურში ასფალტბეტონის საფარი სავალი გზის 795 გრძ. მ-ზე დაიგება და მასზე რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 195 200 ლარი დაიხარჯება, ხოლო ვარდისუბნის 210 გრძ. მ მონაკვეთის რეაბილიტაცია 54 900 ლარი დაჯდება.

● სოფელ გიორგეთში მეორე ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ასფალტბეტონის საფარი სავალი გზის 1944 გრძ. მეტრზე დაიგება და ამას რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 307 625 ლარი მოხმარდება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● „სიღნაღქალაქობა 2018“ 10 ნოემბერს მეთერთმეტედ გაიმართება. მისი ორგანიზატორი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაა. ზეიმზე ელოდებიან მთავრობის წევრებს, დიპლომატიურ კორპუსს და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ სტუმრებს. ქალაქის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ოძისში ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნა. სოფელში იმყოფებოდნენ მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი შალვა კერესელიძე, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი თანიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. საბავშვო ბაღი გათვლილია ერთ ჯგუფზე. ამ ეტაპზე დაწესებულებას 17 აღსაზრდელი ჰყავს. პროექტი დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საბავშვო ბაღში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

● ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში – ჩუბინიანთკარსა და ჩანადირთკარში მიმდინარეობს სამუშაოები სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობად. პროექტს აფინანსებენ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და დუშეთის მუნიციპალიტეტი. შედეგად ორივე სოფლის მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება.

დუშეთი

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის კომისიამ ოქტომბრის თვეში 143 მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინანსა. გახარჯულმა თანხამ 54 549 ლარი შეადგინა.

● მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დღეებში დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ტენდერს გამოაცხადებს. დევნილთათვის სახლების მშენებლობა დაგეგმილია საქართველოს სამ ქალაქში: ზუგდიდში, წყალტუბოსა და ქუთაისში. ამ ეტაპზე ტენდერი გამოცხადდება ზუგდიდსა და წყალტუბოში სახლების მშენებლობაზე. მშენებლობა 2019 წელს დაიწყება. ყველა ბინაში დამონტაჟდება გაზის გამათბობლები, მოეწყობა გარე ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზები და ავტოსადგომები.

2013 წლიდან დღემდე სულ დაკმაყოფილებულია 16 257 დევნილი ოჯახი. ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინა გადაეცა 6735 ოჯახს, ხოლო 2534-ს – სოფლად სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი.

● სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის მხარდაჭერით, საქველმოქმედო ორგანიზაცია IOCC-მა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადასცა სამედიცინო სახარჯი აღჭურვილობა, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებსაც გადაეგზავნებათ.

„საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების“ მიერ გაღებული სახარჯი სამედიცინო აღჭურვილობა მარტვილისა და მესტიის მუნიციპალიტეტებს უკვე გადაეცა, ხოლო უახლოეს დღეებში რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებსაც გაეგზავნებათ.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● ხობის ქუჩის №28 კორპუსში მცხოვრებ დევნილებს გაზის მიწოდების პრობლემა მოუგვარდებათ – დევნილი მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის გაყვანილობისა და მრიცხველების მონტაჟს კომპანია „სოკარ ჯორჯია“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და შუამდგომლობით განახორციელებს.

● უპოვართა სასადილოს კაპიტალური რემონტი დასრულდა. ქალაქის მერი გოჩა კურდღელია, მოადგილეებთან მამუკა პაპასკირთან და გიორგი ფარეშიშვილთან, საკრებულოს წევრებთან ბაქარ ერაგიასა და თორნიკე კირთაძესთან ერთად, სასადილოს ეწვია.

გამოიცვალა იატაკი და კარფანჯრები, ჩატარდა კოსმეტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც 250 ბენეფიციარს სასადილოში დღეს გაუმჯობესებული გარემო დახვდა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძართან მისასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარი 1160 მეტრზე დაიგება. მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით სურმავამ, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი 192 518 ლარით აფინანსებს.

● ქალაქ მარტვილში შიდა საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარი იგება. იგეგმება შეროზიას და დადიანის ქუჩების რეაბილიტაცია, ჯამში დაიგება 1464 მეტრი საფარი. პროექტის ღირებულება 351303 ლარია. მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით სურმავამ დაათვალიერა.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● სენაკის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, კერძოდ:

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეძაძამე-ფოცხოს საავტომობილო გზაზე, ასფალტბეტონის დაგების პროცესი დასრულდა.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისულას მიმართულებით დასასრულს უახლოვდება ასფალტბეტონის საფარის დაგების პროცესი.

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში იგება ასფალტბეტონის საფარი, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში კი – ასფალტი.

ბეტონის საფარის დაგება დაწყებულია ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში.

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო ბეტონის სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების მოწყობის საერთო ღირებულება 1646025 ლარს შეადგენს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ახუთში, მდინარე ზანაზე, ახალი ხიდის მშენებლობა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს. სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა დაათვალიერეს. ხიდის მშენებლობისთვის 809 000 ლარია გამოყოფილი. მისი სიგრძე – 54, ხოლო სიგანე 10 მეტრია.

ახალი ხიდით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მარტვილის მუნიციპალიტეტს დაუკავშირდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქალაქ ბოლნისში კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს: ნოემბრის ბოლომდე აკაკი წერეთლისა და სიონის ქუჩების კვეთაზე სანიაღვრე სისტემის მშენებლობა დასრულდება. მიწისქვეშა კომუნიკაციების გამართვა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ სამომავლოდ საგზაო ინფრასტრუქტურა ეფექტიანად კეთილმოეწყოს.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მუშაობს მძიმე ტექნიკა. სამუშაოებზე ადგილობრივი მცხოვრებლები არიან დასაქმებული.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● დმანისის მუნიციპალიტეტსა და შპს Geocommerce-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარეობს სოფელ დალარის მისასვლელ გზაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 43 145 ლარს შეადგენს.

● მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება:

სოფელ ვარდისუბანში დასრულდა სარიტუალო დარბაზის ეზოს კეთილმოწყობა. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა“ განახორციელა პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ადგილობრივი თემი და ხელისუფლება განვითარებისთვის“, ხოლო დამფინანსებელია Bread for the world.

პროექტის მიზანია საქართველოს 12 მუნიციპალიტეტის 24 სოფელში თემის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის შექმნა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარნეულში, მონუმენტური ძეგლის – „კიდევაც დაიზრდებიან“ – მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე დიზაინის სკვერის კეთილმოწყობა უახლოეს პერიოდში დაიწყება. სამუშაოები განხორციელდება ორ ეტაპად, რისთვისაც გამოცხადებულია ტენდერი.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტური ძეგლი„ კიდევაც დაიზრდებიან“1975 წელს დაიდგა. ქართული ქანდაკების თვალსაჩინო ნამუშევარს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

საპროექტო ტერიტორია თავიდანვე გამიზნული იყო მხოლოდ სკულპტურული კომპლექსის მოსაწყობად, ამიტომ ამ ტერიტორიაზე არ არსებობს პარკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, მარნეულის მერიამ პარკის მოსაწყობად სწორედ ეს ადგილი შეარჩია.

● სოფელ სადახლოში მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის მოწყობისა და შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოების მეორე ეტაპი. დაგეგმილია წყალსადენის ახალი ქსელების მოწყობა, რომლის სიგრძე დაახლოებით 29 კმ-ია, საპროექტო ქსელზე პროექტით გათვალისწინებული მრიცხველების და სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟი, ახალი რეზერვუარის და არსებულ სატუმბ სადგურში დამატებითი ტუმბოს მონტაჟი.

● სოფელ კირაჩ-მუღანლოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კირაჩ-მუღანლოს სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბო სადგურის, რკ/ბეტონის წყალშემკრები რეზერვუარის, წყალსადენი მაგისტრალის, სოფლის შიდა ქსელისა და გამრიცხველიანების მოწყობა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კუჭავამ საკრებულოს თავმჯდომარესთან და მერის პირველ მოადგილესთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა:

მუნიციპალურ აგრარულ ბაზარს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვითა და ფრინველით ვაჭრობისთვის ახალი სივრცე დაემატა, რაც ბაზრის მიმდებარე მოედანს განტვირთავს;

ხიდისთავის თემში, მდინარე ლუგუბაზე, ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მთავრდება.

სენაკი

პოლიტიკა შეგვინირავს ჩვენ, ვატყობ,მით უმეტეს, გურულებს

ოზურგეთში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ცოლი დანასისხლად გადაჰკიდებია თავის რესპუბლიკელ ქმარს: მეორე ტურში, ეს სასიკვდილე, გრიგოლ ვაშაძეს უჭერს მხარსო.

სანამ მეორე ტური იქნება, ვინ იცის, კიდევ რამდენ ოჯახში დადგება უძილო ღამეები პოლიტიკური უთანხმოებების გამო, მით უმეტეს, გურიაში, სადაც გამიგონია: ქალის ჭკუა თხამ ბარდს მიაყოლაო.

ამ ანდაზის სიბრძნე რაღა მაინცა და მაინც გურულ ქალზე გამოსცადა განგებამ და რაღა მაინცა და მაინც გურული ოჯახი უნდა დანგრეულიყო, ისედაც ცოტანი ვართ და ამაზე მწყდება გული, თორემ აგერ, თბილისში, პოლიტიკურ ნიადაგზე წლების წინ გაყრილი ცოლ-ქმარი სიკვდილამდე გადაეჯაჭვნენ თურმე ერთმაენთს.

უფრო გასაგები რომ იყოს, ცოტა შორიდან მოვყვები. ახლობელმა დამირეკა ამასწინათ: ტელევიზორი ჩართე. თამრიკო ჭოხონელიძე ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებით გამოდის, არადა, ეს ქალბატონი ივანიშვილების ოჯახის ნათლიაა და თავიდანვე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, რა ხდება, ნეტავი, გაოგნებული ვარო.

ჩემდა გასაოცრად, პირველი აზრი, რაც მომივიდა, ის იყო: ამ ქალს ქმართან შერიგება ხომ არ გადაუწყვეტია და პოლიტიკურად ხომ არ ეკეკლუცება-მეთქი.

ასეც ვუთხარი ჩემს ახლობელს, რომელმაც ბევრი იცინა, მაგრამ თურმე, იცინე შენ და..

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ. მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე და მისი „უძღები“ ქმარი, „პირწავარდნილი“ ნაციონალი

გია როინიშვილი ამ სატელევიზიო გადაცემიდან სულ ცოტა ხანში ხელმეორედ შეუღლდნენ.

ახლა რომ გააგორონ ერთი თმაქოჩორა ვაჟი და დაარქვან გრიგოლი, ხომ წაადგება დემოგრაფიას და ხომ იქნება ეს ბავშვი პოლიტიკური ინტერესების თანხვედრაში გაჩენილი ბაღანა?!

შენ კი, ვაი, ვაი, ოზურგეთელო ქალბატონო, სამშობლოს ღალატში არ დაგდონ რესპუბლიკელებმა ბრალი, თორემ პრინციპების ღალატს ჩვენ, გურულებს, ვერავინ დაგვაბრალებს.

პრინციპები და პოლიტიკა შეგვიწირავს ჩვენ-მეთქი, ხომ გითხარით?!

ეგე, იყავი ამ ზამთარს „ოცნების“ აქტივისტო მარტო, თქვენი მეუღლე ორპროცენტიან ჩამშვებებს მიკედლებია.

მაინც რა მოწყვლადები არიან გურული ქმრები?..

კიდევ კარგი საპრეზიდენტო არჩევნებმა მოუწია, თორემ რამდენ ღამეს დაასველებდა ცრემლებით თავსასთუმალს ჟუჟუნათვალებიანი თბილისელი ქალბატონი ჭოხონელიძე, ამის შესახებ გია როინიშვილის გარდა დღეს უკვე აღარავინ უწყის...

ყოველთვის მქონდა ასეთი წარმოდგენა გურულ ქალებზე – ემოციურები ხართ თქვენ და წინდაუხედავები. აჰა, ქალმა პოლიტიკა ოჯახის გასამთალიანებლად გამოიყენა, თქვენ, როგორც ამბობენ, 20-წლიან ოჯახს ანგრევთ.

სულ ეგაა თქვენი პოლიტიკა?

– თამარი და გია ოჯახში ბუხრის პირას იჭუკჭუკებენ, სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდება, შენ შეეწირე პოლიტიკურ მოსაზრებებს, მაგრამ არაუშავს, ნაციონალების და რესპუბლიკელების მომხრესთან ერთად ცხოვრებას მაინც ასე გერჩიენოს, წყნარად ცხოვრება – ჭრელი დედალის ბუმბულიან ბალიშთან ჩახუტებულს...

ირანდა კალანდაძე

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)

ტელ: 551 50 89 07

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“ ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.

აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983

9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge